



შინაარსი: ქვა-გუნდა და მისი ფსევდოს დაკლება სეფ. მ. გაჩეჩილაძისა — გვირიდან კვირამდე მაზაკეალისა. — სხვა-და-სხვა ამბავი. — რუსეთის შინაგანი ქრონიკა ფ. მახარაძისი. — „კვალის“ კორესპონდენციები. — უცხოეთის ქრონიკა მ. ისა. — ვაჟა-ფშაველას პოეზია, (კრიტიკული ცდა) ი. ნაკაშიძისა. — \* \* \* ღექსი განდევნისა. — უცხოეთიდან: სოფელი და სასოფლო სკოლა ტერმინაში (შემდეგი) საზღვარგარეთელისა. — ოსმალური ზღაპარი (ფრანგულიდან) და განცხადებანი.

ქვა-გუნდა (მარგანეცი) და მისი ფსევდოს დაკლება.

**ქ**ესტაფორნი. ქვაგუნდას ეწვია ჩვეულებრივი კრიზისი. ამ უბედურ დღეზე შობილ წარმოების სათავეშივე სევდებითი ჩაუჯდენ ჩარჩები. ბერძნებმა აატუტეს შავი-ქვის მრეწველობა. ერთი ხელი ჩაჰიდეს მაგრათ ბანკს, მეორე მარგანეცს და სხვისი ქონების რისკით გამართეს ევროპაში შემადრწუნებელი კონკურენცია თუ რომელიმე დაემხო, ეზარალება მხოლოდ მემადნეებს: თითონ რაც არ ჰქონია, რას დაჰკარგავდა. როგორც ყოველთვის, ეს ახალი კრიზისიც მართო მადნების პატრონებისათვის და მუშებისათვის არის საკრძობელი, რადგანაც არც ბანკი და არც ევროპა აქ არაფერს ჰკარგავს. ამ მემადნეებს დაუძახებენ ჭიათურაში — არიქა ქვა... მოგვიზიდეთ საწყობებზე და ფული გულით საფე წაიღეთო. მოასკდება ქვა, მაგრამ როცა ფულის მიღების ვადა მოვა — ფული აღარ არის. ბერძენი ვარბის ფოთში, იქ მიდევნე ორმოც სამოცობით მემადნეები. ბერძენი მიჰქრის ბათუმში, მოვალეები, რასაკვირველია, უფრო ცოტა რიცხვით მისდევნე კვალში და, თუ

საზღვარ-გარეთაც წავიდა ბერძენი, მაშინ... ამ დღეებში ფოთში და ბათუმში საწყალი მეადგილ-მამულე მწარმოებლები შეტრიან ცას და მიწას, — მაგრამ ნუგეში არსაიდან ჩანს. მთელი ფოთი და ბათომი მთზე იცინის: დიდი მოხერხებული არიან ბერძნები, რომ ამდენ რისამე მეპატრონეებს პარულუყეებით ათრევენო, ამბობენ ზოგიერთები და მართალიც არის. ჩვენი კაცისთვის განა როდისმე გათენდება? როგორც ყოველ წარმოებას ამ ეამათ, ისე შავი-ქვის წარმოებასაც აუცილებლათ ესაჭიროება კაპიტალი. ჩვენი ქვაგუნდის დღევანდელ მწარმოებლებში კაპიტალისტები არიან, ფულიანები კი ერთიც არა! როგორ მოხდა ეს? მამული მადნისა ვეაქეს, საწარმოებელი სახსარი — ფული კი არა. აი, ეს ფულებია არხიმედის „კაკე“ ქვაგუნდის დამუშავებისათვის. მაშ, ვინ აწარმოებს დღეს საქმეს? ის, ვისაც რაღაც მანქანებით მიუგნია ბანკებში; ხოლო უმეტესი მათგანი უმამულაა, თავისი საკუთარი ფული მაინც აქეთ? — გროში. მაშ, ბანკ რას აძლევს, რომ არ იზარალოს? 4 კაპ. ჭიათურის საწყობზე ფოთში, 18 კაპ. ფოთში; ქვა კი ჭიათურაში 8 — 9 კაპეკამდი ადიოდა წელს. მაშ, დანარჩენს საიდან

ისტუმრებენ? არსაიდან! მემამულეების ქვა-გუნდას აგუნდავებენ და მათ ანგარიშზე ისერიან ევროპის ბაზარზე. წააგებენ—რას დაჰკარგავენ? მხოლოდ საწყალმა მემამულეებმა იკითხონ და მათმა ჯიბემ.

რკინის გზის გახსნას შემდეგ ქიათურაში ბევრი ნამდვილი, თუ ცბიერი, გულ-შემატკივარი გაუჩნდა მარგანეცის წარმოების საქმეს. დააარსეს მაშინვე „სინდიატი“, რომელსაც ზედ მეტ სანელათ „სოიუზი“ დაარქვეს და თავმჯდომარეთ გაუჩნდა გ. ზ - ჩი. შავი სუღარა გადაფარა „თერთმეტის“ საქმეს და დაამხო. მისი დღევანდელი სუნთქვა მხოლოდ შიშია წარსულის წინაშე.. გამოხობრიკდა პირველი ფორმის ამხანაგობა გედევან ჩუბინიძის თავმჯდომელობით, რომელმაც დაბუღებისათნავე განუტევა სული, მაგრამ, როგორც ამბობენ, უმჯობესსათვის. — მეორე სახის ამხანაგობაც მოინათლა. აქაც ფული შეიქნა საქირო, როგორც ყველა ამხანაგობების აზრიც ფულის შოვნა იყო. საქმე უკანასკნელ სულის ამოხდენამდე მივიდა.. რა იყო მიზეზი ამ საზოგადოებათა უსარგებლობის და აღრე და მალე სულ-მობრძობისა? ის, ბატონებო, რომ, ვინც ფულს ამოაყოფია თავი ჯობიდან საწუწკარივით, ყოველი უფლება და ბატონობა იმან მოითხოვა და მიიღო, კომისიაც მას, პროცენტიც მას, გაყიდვის უფლებაც და... რა არა?..

მე ვთქვი, უფულოთ — უკრედიტოთ ქვაგუნდის წარმოება ახლანდელ მწარმოებელთათვის შეუძლებელია-მეთქი. მხოლოდ-და, თუ ჩარჩებს უშოვიათ ის იმ სახით, როგორც საქიროა, მემამულეებმაც იზოგონ. ჩვენ წერილმან, თუ დიდ, მემამულეებს გვინდა კრედიტი მცირე პროცენტით სხვა-და-სხვა შავი-ქვის საწყობებზე ჩამოტანილი საქონლას დაწინდებრთ. ეს იყო ჩემი ნატერა და უკანასკნელი იმედი, რომ მემამულე თვით გაძლოლოდა თავის საქმეს რაოდენათაც და რა რიგათაც ამას ის მოეხერხებოდა. ამითი მას ჩარჩები ჩამოშორდებოდენ. ეპკრობა ნაღდი შეიქნებოდა. მწარმოებელ მემამულეს თავის მადანი შერჩებოდა. არ დაიეწყოთ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში შიგა და შ-გ გამოჩნდენ იმისთანა მწარმოებლები, რომ ათი პროცენტს კომისიით მთელი მამულეების გაყიდვას აგონებენ მემამულეებს და კაპიტალისტები მოჰყავთ. მაგრამ, ვგონებ, ეს ლამურები მალე გაქრებიან, თუ ის შესრულდა, რაც ბ-ნ ნიკოლაძის თავოსნობით ფოთის ქალაქის გამგეობამ განიზრახა.

ბ-ნ ნიკოლაძემ მიიღო ნება-რთვა ფინანსთა მინისტრისაგან სხვა-და-სხვა საქონლის საწყობები გაძართოს ფოთში და აგრეთვე მარგანეცისა ქიათურაში. საქონლის მებატრონეს მიეცემა გამგეობისაგან საქონლის დაფასების და კვალთ მოწმობა. ამ მო-

წმობას აქვს ძალა „საწინდარა ფურცლის“, როგორც საადგილ-მამულო ბანკში უძრავ მამულს. ამასთანავე ბ-ნ ნიკოლაძეს თბილისის საკომერცოო ბანკი დაეთანხმა 60% ამ მოწმობებში ფულს მისცემს და იმედია, საქმე კიდევ შევა წარმოებაში ახალ წლიდან.

როგორც ჩანს, ჩვენი გოდება მიწეულა ამ მამულის-შვილის ყურამდე და ჩვენდა შეუტყობინებლათ, შეუსრულებია თავის ვალი წინაშე ქვეყნისა. თუ ეს გამართლდა, ჩვენვე საკუთარი ჩარაღრთ შეგვიძლია ქვაგუნდის წარმოების გაუმჯობესება. საქმე ის არის, რომ ამ ახალ ხანაში ჩვენ მხოლოდ 0/60-ადღვეთ ბანკს; საქონლის განკარგულება, მისი გაყიდვა, გადაცემა სხვაზე, თუ რაოდენსამე ხანს გაჩერება, ჩვენი ნებაა, მხოლოდ ბანკი თავისას აიღებს სარგებლით. სულ ყველაზე უფრო სასიხარულო ჩვენთვის ის არის, რომ ამ საშუალებით ჩვენ ჩვენი მამულები შეგვერჩება და, ვინ იცის, იქნება, ევროპელებმა პრდაპირ ჩვენ მოგემართონ ქიათურაში, ქვა მოგეყიდეთო. მხოლოდ ამ საშუალებას შეუძლია ჩვენ შეგაკავებროს ისე, რომ ერთი კანტორა დაინიშნოს ქიათურაში, რომ მას მიენდოს ერთ და იმავე, ან აწეულ, ან დაწეულ ფასებში ქვა გუნდა გაყიდულ იქნეს ადგილობრივ, თუ საზღვარ-გარეთ. ეს იქნება საქმეთ ქცევა იმ ოცნებისა, რომლის განსახორციელებლათაც არა ერთხელ და ორჯელ ცდილობდენ ხოლმე ყველანი.

სეგ. მ. გახეჩილაძე



კვირიდან კვირამდე.



არსულ კვირეში გამოვიდა ახალი პაწია ქართული ორგანო, რომელსაც ეწოდება „ცნობის ფურცელი“. მას თანაგრძნობით მიეგება ჩვენი მკითხველი საზოგადოება. ახალ დაბადებულის ფურცელის ღირსება ის არის, რომ მისმა გამომცემლრედაქტორმა, ბ-ნ გუნიაშ, პირველ იანვრამდე ის ძალიან გააიაფა; ორი თვის გამოცემა ერთ მანეთთ გახადა, ხოლო ცალკე ნომერი სამ კაპეკათ. ჩვენი მკითხველი საზოგადოება ისე დაესია ამ გამოცემას, როგორც ზაფხულში ქუჩაზე მაყურებელთ ჩვევით, როცა მათ ღუქნიბიდან დამპალ ხილს გადუყრიან საქმელათ. ერთმა ქუთათურმა ინტელიგენტმა წამოიძახა, როცა პირველათ ხელში აიღო, „ცნობის ფურცელი: ‘ მე ეს გაზეთი მეგონა, თურმე „სპრავოჰნი ლისტოკი“ ყოფილაო. მაგრამ თავის უარეს მინც ჰჯობიაო. სხვა არა იყოსრა, სათაური აქვს ლამაზი ღ სამ კაპეკათ ესეც ღირსო. ამ ახალწლამდის მოსახა-

ლისებლათ ამასაც არა უშავსრაო. ჩვენ არა ვართ ქუთათური ინტელიგენციის აზრისა. „ცნობის ფურცელს“, როგორც ახალმოზილს, თუკი თავი ღამაში აქვს, მერმის ტანიც შესაფერი გავზდება. ამის თავდები მისი გულ-უხვი და შეძლებული ნათლიები არიან. ერთი ამ ნათლიებთანაა თურმე დაბადებისთანავე საკმაო სძიძიო წყალობას უპირებს, ოღონდ ხელში ჩემი „სიმართლის“ დროშა დაიჭირეო. მაგრამ როცა სიმართლე კერძო საკუთრებათ ხდება, იმ სიმართლის მაღლი ეშმაკებს შეეწევა.

\* \*

რათაც იქნა თფილისის საოპერო თეატრსაც ეღირსა დამთავრება. წარსულ კვირაში საცდელათ დაუწყეს მას ელექტრონიტ განათება. მართლაც სასიამოვნო რამ საყურებელი იყო. თფილისის ახალი თეატრი ღირსშესანიშნავეი არხიტექტონული ძეგლია საქართველოში, მეცხრამეტე საუკუნეს გასულს აგებული. დიდებული სანახაობა აქვს, როგორც სივრცით, ვგრეთვე ერთ-არსი აგებულებით და გარეგანი შემკულობით. მთელს თეატრს გარეგანი შეხედულებით ვრცელი საშუალო საუკუნის ბერთა სატრაპეზო შენობის სახე აქვს. მისი წინა ფასადი ოთხი კოშკით არის დაშფენებული, რომელნიც შორიდან ბერმონაზნათა გულშეგებათ გამოიკვირებინან მათ შორის შეენიერი სტოვის თალია გადართხმული გამოქანდაკებულ სვეტებზე, თითქოს წმინდა ბერმონაზნებს ხელოვნების დამაგვირგინებელი შარავანდეთი ხელთ უჭირავთო. მთელი შენობა ძველ არაბულ გეგმაზეა აგებული და გარეგანი სამკაული, ესე იგი ჩუქურთმა, ძველი ქართული გრებილების დაგვართ არს გამოყენილი. მთელი ეს უზარმაზარი შენობა სუბუქათ აღიმართება ჰერში და დიდებულს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ამბობენ, ღღეს კვირას გადაეცემა ეს თეატრი რუსის საოპერო დას წარმოადგენების გასამართავათ.

\* \*

ვეტიკობთ, ეს ახალი თეატრი ამ წელს უკან ჩამოაყენებს ყველა თეატრების მოქმედებას. ამის მაგალითი უკვე კიდევ შეენიშნეთ ქართულ სათავად-აზნაურთ თეატრში ამ თვის 24-ს, სადაც პირველათ დადგეს ნასიძის მიერ გადმოთარგმნილი, ანუ უკეთ ვთქვათ, გადმოჩამხუთი ოსტროვსკის ზუთმოქმედებანი დრამა „ბუქუტაენი ცეცხლი“ (Блуждающие огни). ფული რომ გადახდალს, იმისთანა მაყურებელი, ვკონებ, ათი კაციც არ იყო. ერთმა მაყურებელმა კიდევ იოხუნჯა, როცა ხელავედა სცენაზე, რომ ოსტროვსკის დრამას შესაფერი მოთამაშენი არ ჰყავდა: ამ დრამისათვის „ბუქუ-

ტაენი ცეცხლი“ კი არ უნდა დაერქმიათ, „მოხეტიალე ნაპერწყლები“. მართლაც ქართულ მოთამაშე მსახიობთა დასში ორი ჩინებული ნაპერწყალი უთაბოლოთ დახეტიალობდა სცენაზე. ერთი იყო ახალი მცდელი მსახიობი, ქალბატონი კარგარეთელისა, მეორე მარჯანიშვილი. ამას, როგორც ახალგაზდა ნიქიერ მსახიობს უკვე კარგათ იცნობს ჩვენი საზოგადოება. მხოლოთ ოსტროვსკის დრამაში ის ისე თამაშობდა, როგორც ერთ რუსულ სიმღერაშია: „ეანკა ტანკუ პოლუბილო“. შინაგან ლეღეთა ბრძოლის წარმოაჩენათ, რალაც უწმით ილრიჯავდა სახეს ჭამაში მდგომარეობდა მისი დრამატიზმი. ქალბატონი კარგარეთელისა მართლაც ნიქიერ მსახიობათ ჩათვლებდა. მაგრამ არ მჯერა, რომ ქართულ დრამატულ მსახიობთა დასმა რმისი ბუნებითი სამსახიობო ნიქი შესაფერათ ასაზრდოვოს. გარეგანი ღამაში თვალ-ტანადობა, მოცქირაილე ხასიათი, გრძობიერი გული და ჩინებული სახის მოძრაობა - ეს ყველა ძვირუასი მასალაა, რომ ქალბატონ კარგარეთელისგან სხვა სცენაზე ჩინებული ნიქიერი მსახიობი გამოვიდეს. სამწუხაროთ, ქართული მსახიობთა დასი იმისთვის ისეთი საიჭუო სფერაა, რომ იქ შესული ნორჩი ახალგაზდა ნიქიერი არსება უფრო ბრყეუდება და არ იწერთება.

თვით ქართულ თეატრის სცენასაც შევატყვეთ დროის შესაფერი ცელილება. როგორც ვკითხ, დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ბანკის შენობა და ბანკის თეატრი გადავიდა ესრედ წოდებულ საქართველოს „დობლესტნოე დეორიანსტუოს“ ხელში ჭ, როგორც მას შეეუერებოდა, ისეთა ცელოლება მოუხდენია სათავად-აზნაურთ თეატრის სცენაზე. რაღა თქმა უნდა, რომ სცენის დეკორაციები გაუშეენიერებია. განსაკუთრებით მეტათ ხელოვნურათ და გონაერი მოსახრებით დაუხატავთ ზემოთ სადეკორაციო ფარდაზე სამი რუსული ასო: Т. П. და Д., რომელნიც აღმათ ნიშნავენ: Творчество Грузинского Дворянства.

\* \*

წარსული კვირის გაზეთებმა ერთი შესანიშნავე ამბავი მოგვიტანეს შესახებ კავკასიის ცარიელ ადგილების დასახლებისა. აქამდის ჩვენ ვიცოდით, რომ ამ შავიზღვის პირებისა და ჩრდილოეთ კავკასიაში უღაბური ადგილებს დასახლებას მხოლოთ მთავრობა ცდილობდა; ახლა მთავრობის ინიციატივის შეუერთდა კერძო ადგილების მებატრონეების მეცადინეობაც. ექვსმა დიდმა მემამულეებმა ითხოვესო — ამბობს გაზეთი „პრიაზოვის კრაი“ — მთავრობის წინაშე, ნება მოგვეცითო, ჩვენ ვიკისროთ რუსეთადან რუსებას გადმოსახლება, რომ ისინი დავასახლოთ ხოლმე კავკასიის უღაბურ მიწებში ისეთ ალაკებზე, რომელნიც

განიჩეიან კარგი ჰავით, მდებარეობით წყლით და სხვა კეთილი გარემოებითა არ გეანებოან ეს რუსის ადგილ მამულის მკატრონენი, ჩრდილოეთ კავკასიაში დასახლებულნი, ჩვენს თავად-აზნაურობას, რომელიც ყურსაც არ იბერტყავს შესახებ კავკასიის ახალ ადგილებზე უფრო განიერათ დასახლებ სათეს, თუმცა მათ შორის მრავალი წევრები მოიპოებოან, რომელთაც ადგილ-მამული სულაც არ აბადიათ და რომ თვითონ იკისრონ ეს საქმე, თან გაიყოლიონ უადგილ-მამული გლეხობა შავი ზღვის პირის მდიდარ ადგილებში, თვითონაც ბედნიერი გახდებოან და ქვეყანასაც სარგებლობას მოუტანენ. ეს საქმე ერთი უპირველესი მოვალეობათაგანია ჩვენის თავად-აზნაურობისა და, იმედია, ჩვენი თავად-აზნაურობის წინამძღოლნი ჯეროვან ყურადღებასაც მიაქცევენ ამ საქმეს.


\* \*

სულ სხვა მხრით უყურებს ამ საქმეს ჩვენი ცნობილი მამკლიშვილი თ. ზ. ერისთავი, რომელმაც ოძისის მამული შეწირა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობას იმ პირობით, რომ იქ თავად-აზნაურობამ სამეურნეო სკოლა გამართოს, აღზარდოს თავის შვილები ტენიკებათ და მეურნეებათ, რომ უფრო მაგრათ ჩაჰიდონ ხელი მიწათ მფლობელობასაო. ჩვენი ფიქრით თ. ზ. ერისთავი ძლიერ შეშფობილია, თუ მართლა იმას ფიქრობს, რომ აგრონომებს, მეურნეებს და ტენიკებს შეუძლიათ მიწათ-მფლობელობა განამტკიცონ. რუსეთის იმპერიაში მრავალი ტენიკები და აგრონომები გამოზდილან, მაგრამ ცოტა მათ შორის ისეთები, რომ ადგილ-მამულს პატრონობდეს. მომეტებული ნაწილი მათგანი ან მაკლერებათ არიან რუსეთის ქალაქებში, ან ტენიკებათ ქარხნებში და ამ ხელობით უფრო იჩინენ თავს ისინი, ვიდრე ადგილ-მამულის მოვლით. ის კი არა აგრონომ-მაკლერებს მთელი კანტორები აქეთ დიდი რუსეთის ქალაქებში: კიევი, ხარკოვი, ოდესაში და როსტოვი, საცა ისინი უშამავლობენ, რუსეთის მებატონეებს თავის ადგილ მამულები უცხო ქვეყნის კამპანიებისთვის მიაყიდვიონ და სრულებ-თაც არ ურჩევენ ადგილ-მამულებს შერჩენას. ჩვენშიაც ბევრი გახლავან ახლა აგრონომები და ტენიკები, მაგრამ ისინი უფრო ჩინოვიკობას, ადმინისტრატორობას და ალბ მთავრობას ირჩევენ, ვიდრე ადგილ მამულის პატრონობას და იმის მოვლას. თვითონ თ. ზ. ერისთავს თუ მართლა სურდა ადგილ-მამული შერჩენოდა ქართველებს, ოძისის სკოლის გახსნისათვის მეცადინეობას, ის არ ერჩია, რომ თავისი შვინიერი მამული, შავიზღვის პირათ მდებარე, არ გაეყრნა, არამედ უმამულო ქართველი აზნაურიშვილებით და

გლეხებით დაესახლებინა, თვითონაც ესარგებლა და იმთავისაც ხელი შეეწყო. ეს რომ ექნა თ. ზ. ერისთავს, მაშინ უფრო გულწრფელათ წარმოთქმული გვეგონებოდა მისი შემდეგი სიტყვები:

„съ этого дня дворянство должно поставить своимъ девизомъ твердо сидѣть на своей землѣ и вѣсьмъ протягивающимъ руки къ ней сказать—руки долой“. (Нов. Обзор. № 4403).

მასკაკალი.



### სხვა-და-სხვა ამბავი.



გეგმა ნიუ-იორკიდან გეცნიერებს, რომ 23 ოკტომბერი მაკ-კინლეი არჩეულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტთ 242 ხმით; როგორც მკითხველებმა უწყიან, მაკ-კინლეი რესპუბლიკანური პარტიის კანდიდატი იყო. უფრო დაწერილებით მის შესახებ შემდეგ იქნება.

\* \*

პეტერბურგში გადაცვილია სამაგალითო მკოდნე ქართული ენისა თ. ნიკოლოზ ტარიელის ძე დადანი, რომლის ბიოგრაფიას სურათთან ერთათ მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

\* \*

როგორც შევიტყვეთ ქ. ბაქოში გაბრეღ დეითისძეს პარუნჯან ბეკოვს გადაუცია კნ. ბარბარე ბართაშვილისათვის ხუთი თუმანი „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოთ.

\* \*

გაზ „Новости“ გეუწყებს, რომ ბათუმი დაუმტკიცებიათ საკომერციო პორტათ.

\* \*

ყოველ წლიე „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“ მართავს თავის წევრებისთვის კითხვებს (ლექციებს) სხვა-და-სხვა საკანზე. წრეულის ძალიან საინტერესო საგნებს კითხულობენ: ახალ „გაზდა მასწავლებელი გეტმანი (განსვენებული მწერალი ქალის ბარბარე ჯორჯაძის შვილი-შვილი) ფილოსოფიის ისტორიას და ბ. რომანოვსკი საზოგადო ისტორიას. მსმენელთა რიცხვი 70 მეტია. ჩვენი თბილისი რომ მდი-

დარი იყოს ლექტორებით, ამ „მასწავლებელ ქალთა საზოგადოებას“ შეეძლება პედაგოგიური კურსების გახსნა, რადგან მათი წესდება ნებას აძლევს.

\* \*

როგორც ვახ. „Нон Огонь.“ ამბობს, საკვირველი ბედი წვევა სახელწიფო ბანკის განყოფილების გახსნას ქუთაისში. აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც სხვა-და-სხვა დაწესებულება შუამდგომლობდა ამაზე. ამ უკანასკნელ დროს სატახტო განეთები იუწყებოდნენ, რომ სახელმწიფო ბანკის განყოფილებას გახსნა ქუთაისში უკვე გადაწყვეტილი საქმეა. საქმე იქამდის მისულა თურმე, რომ ქუთაისში ოფიციალურა პაკეტები იგზავნებოდნენ ამ ბანკის განყოფილების სახელზე და სხვ. მაგრამ, როგორც სარწმუნო წყაროდან გაუგია სხენებელ ვაჭრებს, განყოფილება ქუთაისში აღარ გაიხსენება, თუმცაღა მცხოვრებნი ძლიერ საქირობენ მას.

\* \*

იმავე ვაჭრებს ქუთაისიდან ატყობინებენ, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ, თითქმის ყველა ქუთაისის დაწესებულებას უშუამდგომლოა მართებლობის წინაშე ქუთაისის საბაღოსნო სკოლის გაკეთებაზე ლეინის კეთების შესასწავლათ. ეს უშუამდგომლობაც არ დაუკმაყოფილებიათ, როგორც ჩანს სამიწათმოქმედო სამინისტროს უწყებიდან, რომელიც წაკითხულ იქმნა ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების სხდომაზე სამინისტრო უარის თქმის მიზეზათ საშუალების უქონლობას ასახელებს და ურჩევს ქალაქს, თითონ გამოძებნოს ამისთვის საჭირო სახსარი. სამეურნეო განყოფილების პრეზიდენტის, ლენ.-ლეიტ. შალიკოვის წინადადებათ, ამ სხდომაზე არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც უნდა გამოძებნოს საშუალება სკოლის გადასაკეთებლათ.

\* \*

ამ ქვათ, როგორც ადგილობრივ ვაჭრებში დაბეჭდილ ცნობებდან ვტყობილობთ, საქონლის გადამდები ჭირი მძინეარებს მრავალ ქართლ-კახეთის სოფლებში.

\* \*

თბილისის „პასტერის სადგურს“, რომელიც დაარსებულია ცოლით ავათყოფების მოსარჩენათ, წელს შეუსრულდა ცხრა წელი. ამ ხნის განმავლობაში ამ სადგურში მოსარჩენათ მიუყვანიათ 1,000 კაცი („Кавказ“).

\* \*

1897 წლიდან განზრახვა აქეთ სამეურნეო საწავლებლებში, რომლებიც ეკუთვნის სამიწათმოქმედო სამინისტროს, მიიღონ რამდენიმე სახალხო მასწავლებლები, რომელთაც მსურთ სამეურნეო მრეწველობა ს რომელიმე დარგის პრაქტიკულათ შესწავლა.

\* \*

ქართლის თავად ჯინჯერათ სამეურნეო ამხანაგობა. გასულ წელს გორის მაზრის თავად-ახანურაბამ შეიმუშვა სამეურნეო ამხანაგობის წესდება, რომელიც წარდგენილ იქნა დასამტკიცებლათ სამიწათმოქმედო და სახელმწიფო ქონებათა მინისტრთან. 17 სექტემბერს ეს ამხანაგობა დაუმტკიცებიათ ამ ახალ დარსებულ ამხანაგობას მიზნათ აქეს: 1) შეშვეობა აღმოუჩინოს ადგილობრივ სოფლის მეურნეთ საჭირო ნივთების და სამეურნეო ხელ-საწყობს მოაოვებაში და აგრეთვე ნაწარმოებთა გასაღებაში; 2) სესხი აძლიოს საქონლის დაკრავებით; 3) ხან-გამოშვებთ მოახდინოს ხოლმე კრებები. სამეურნეო მრეწველობის საქიროებათა გამოხარკევეთ და აგრეთვე მიიღოს ზომები იმათ დასაკმაყოფილებლათ. ამხანაგობას ნება აქეს გახსნას და იქონიოს კანტორები, მაღაზიები და საწყობები არა მარტო რუსეთის სახელმწიფოში, არამედ საზღვარ-გარეთაც. ამხანაგობას წევრათ შეუძლიათ იყონ ორავე სქესის მიწის მეპატრონენი, ვინც კი შესვლისათანავე 10 მანეთს შეიტანს საწევრო ფულათ; მთელი საწევრო ფული 100 მანეთია. ამხანაგობის საქმეს განაგებს საზოგადო კრება, ზედამხედველი კომიტეტი და გამგეობა; ეს უკანასკნელი მუდმივათ იმყოფება ამიერ-კავკასიის რკინის გზის გომის სადგურზე. („Кавк. Сел. Хоз.“).

### რუსეთის შინაგანი ქრონიკა.



უმცა წრეწანდელი წელიწადი ჯერ კიდევ არ დასრულებულია და სრული ანგარიშის მიცემა მაზე ამ ქვათ უდროვოთ ჩაითვლება, მაგრამ ჩვენ უკვე დღესაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის ცხოვრებაში ეს წელიწადი შესამჩნევ კვალს დატოვებს. ჩვენ აქ სრულებით არ ვლაპარაკობთ იმ მოვლენათა და შემთხვევათა შესახებ, რომლებმაც თავის გარეგანი სიღიადით ისეთაც დიდი ყურადღე-

ბა მიიტკია არა მარტო რუსეთის საზოგადოებისა, არამედ მთელი ევროპისაც. ჩვენ გესურს აღენიშნოთ იმ გერანი მოელენიანი რუსეთის ცხოვრებაში, რომლებიც გარეგნობით ისე არ არიან შესამჩნევი, როგორც პრეველი, მაგრამ რომლებიც სამაგიეროთ უტყუარი მოწამეა იმისა, რომ რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ ყმათ ხდებიან ძირითადნი ცელილებანი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აქ მოელენიანი რუსეთის სააღებ-მიცემო და სამრეწველო ისტორიიდან. ჩვენ გესურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ რუსეთის მრეწველობის და აღებ-მიცემობის წარმომადგენელთა აქტიურ მოქმედებაზე თანხანთ შინაგან, თუ გარეგან საქმეთა მიწყობისათვის. აი, მხოლოდ ამ მხრით გამოიჩინა თავი წელს სხვა წლებთან შედარებით რუსეთის აღებ მიცემობაში, კაპიტალიზმა.

ერთი სიტყვით, რუსეთის კაპიტალიზმმა წელს ყველას აშკარათ დანახვა, რომ ის საქმარისათ განვითარებულა, რომ კაპიტალისტურ წარმოებას საქმარისათ შეუფეროვება დიდ ცენტრებში კაპიტალი, რომ რუსეთის ცხოვრებაში ეს წარმოება შეადგენს უპირველს ძალას, რომლიდანაც დამოკიდებულია ამოდენა სახელმწიფოს ბედ-იღბალი და რომელიც თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას ადებს თავის ელფერს და აძლევს მას განსაზღვრულ მიზართულებას. ასე თუ ისე, დღეს ჩვენ დაბეჯითებთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის დრო, როცა რუსეთის კაპიტალის წარმომადგენელი დაიძახებენ: „otte toi delá que je m'y mette“ — (ადგილი დამიცალე. მე უნდა დაეიჭირო), შორს აღარ უნდა იყოს <sup>1)</sup>. აქედან

1) მეტათ და მეტათ საინტერესოა ამ მხრით ამას წინეთ გახ. „Волгарь“-ის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „Купечество все можетъ“ — გაჭრებს ყველაფერი შეუძლიაო. ამ ფრაზის გამო რთმს რუსეთის გახკეთმა მოიწადინა იმის განხილვა, თუ რა ღვაწლი მიუძღვისთ გაჭრებს რუსეთის გონებრივთ წარმატებაში; ამისათვის მან აღნიშნა თავად აზნაურობის და სამღველელების ღვაწლი და შეძგეგ აზნაირი კითხვა დააყენა: რას ჩადიოდენ იმავე დროს გაჭრებო? ისინი მხოლოდ მდიდრადებოდენ და ფულებს იძენდნო. მაგრამ მატევექმულებმა გახკეთმა დაივიწყა, ერთი მხრით, ის, რომ გონებითი წარმატების ისტორიაში თავად-აზნაურობას და სამღველელებს გარდა სხვა წოდებათა წარმომადგენლებსაც მიუძღვისთ ღვაწლი, და მეორე მხრით ის, რომ, თუმცაღა სიმდიდრე თავის თავათ, შეიძლება, არ შეადგენს წყაროს გონებითი განვითარებისათვის, მაგრამ სიმდიდრე, შეგროვილი საზოგადოების განსაზღვრული კლასის ხელში, აუცილებლთ უნდა გადაიჭრეს შემდეგში გონებითი გან-

ჩვენ ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიყენოთ, რომ საზოგადოთ კაპიტალიზმის განვითარება ექვემდებარება ყოველგან ერთ და იმავე განსაზღვრულ კანონებს; შესაძლებელია მხოლოდ წერილობანებაში, ადგილობრივი პირობების მიხედვით, ერთი ქვეყნის ისტორია განსხვავდეს მეორესაგან. მაგრამ რომ ჩვენი სიტყვები უსაფუძვლოთ წარმოთქმულათ არ მიიღოს მკითხველმა, ამიტომ საქმართა ზოგიერთ უფრო თვალსაჩინო ფაქტების დასახელება.

პირველათ არ შეგვიძლია მკითხველის ყურადღება არ მივაქციოთ რუსეთის გამოფენებზე ნიჩინი ნოეგოროდში. თუმცაღა ამ გამოფენით ბევრი დარჩა უცმაყოფილო, თუმცაღა მან ვერც ხაზინას მოუტანა მოსალოდნელი სარგებლობა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს გამოფენა უტყუარ საბუთათ ჩითულება იმისა, რომ რუსეთის აღებ-მიცემობა და მრეწველობა შედარებით ამ უკანასკნელ დროს დიდ წარმატებაში შესულა. რა ვუყოთ, რომ რუსეთის წრეგანდელ გამოფენას ჯერ კიდევ ბევრი უკლია გაუთანაწორდეს სხვა ქვეყნების ამნაირ გამოფენებს; რა ვუყოთ, რომ იმ დროს, როცა რუსეთის გამოფენა ნიჩინი-ნოეგოროდში 28 მაისიდან დაწყებული, ვიდრე 30 სექტემბრამდე სულ 991,033 <sup>2)</sup> კაცმა ინახულა, იმავე დროს ბერლინის გამოფენა 7 მილიონზე <sup>3)</sup> მეტ კაცს უნახავს. ჩვენ ვიცით დარწმუნებით მხოლოდ ის, რომ კაპიტალისტური წარმოება რუსეთში საქმარისათ მოლონიერებულია, რომ კაპიტალის წარმომადგენელი უკვე საქმარისათ გრძნობენ თავის მნიშვნელობას და ძალას სახელმწიფო საქმეებში, რასაც თვით მმართველობა კარგათ გრძნობს.

თუ რა ძალას შეადგენენ თანამედროვე რუსეთის ცხოვრებაში კაპიტალის წარმომადგენელი, ამას ჩვენ რამდენიმეთ შევიგნებთ მაშინ, როცა ცოტა უფრო ღრმათ ჩაეფკვირდებით რუსეთის აღებ მიცემობის და მრეწველობის დაღესასწაულის დროს (ამნაირი სახელი უწოდეს წრეგანდელ რუსეთის გამოფენ-

კითარების წყაროთ. ყოველ შემთხვევაში ამას გვიტეკი-ტებს ჩვენ ეგრობის და ამერიკის ისტორია. თუ ასე შორიდან განვიხილავთ ზემო მოყვანილ სიტყვებს „Купечество все можетъ“, მიუხედავთ იმათ გარეგანი უმსგავსებების, იმათ დროს ისტორიული მნიშვნელობა ექნება. და მეორე მხრით, განს იმავე სიტყვებში ნათლათ არ გამოსჭვივს შეძგეგი სიტყვების დედა აზრი: „otte-toi delá que je m'y mette?“

<sup>2)</sup> ამ რიცხვში შედიან აგრეთვე მასწავლებლები, მოსწავლეები და მეშები, ესე იგი როგორც ფსიანი, ისე უფსიანი. ის. „Рус. Вѣд.“ № 274.  
<sup>3)</sup> ის. „Нов. Обоз.“ № 4393, корп. изъ Вѣраша.

ნას ნიქნი ნოევკორდში) მომხდარ კრებას. ჩვენ აქ არ შევალთ ამ კრებს ს საკამათო სუნებს განხილვაში. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ კრებაზე სასტიკათ შეებრძოლენ ერთი მეორეს კაპიტალის წარმომადგენელი, რომლებიც ორ ბანაკათ იყვენ დაკუთვლილი. ერთ ბანაკს წარმოადგენდნ სოფლის მრეწველნი, მეურნენი, ე. ი. მიწის მფლობელები, ანუ რუსეთის აკრარებო, მეორეს კი საზოგადოთ დიდი ალბ-მიცემობის და მრეწველობის წარმომადგენელინი. თითოეულ ბანაკს საკუთარი განსაზღვრული პროგრამა ჰქონდა წარმადგენილო, თავისი საკუთარი ინტერესების მიხედვით. აგარაებო ჩვენში, როგორც ყოველგან, დანტერესებული არიან, რომ რაც შეძლება იათ ფხათ შეიძინონ სამეურნეო ხელსაწყო, სამეურნეო მაშინები, ამათანავე, რასაკვირველია, კარგი თვისების. ორივე ამ მოთხოვნისა აკმაყოფილებენ საზღვარგარეთელი მაშინები, მაგრამ იათ შემოტანისათვის დღეს იმდენ ბაქს ახდენიებენ, რომ იათა ყიდვა რუსეთის აკრარებებს ხელს არ აძლევს, აიტომ ეს უკანასკნელინი ცდლობენ ბაქების შემცირებას და თავისუფალი ალბ-მიცემობის დამკვიდრებას სამეურნეო იარაღებისათვის. სულ სხვაში მდგომარებას სხვა-და-სხვა მექარხნების და ფაბრიკანტების ინტერესი: იათ ჯერ-ჯერობით ისე ვერ განუეთარებათ თავანთა წარმოება, რომ უცხოეთის ნაწარმოებს გაუწიონ მეტოქეობა: იათი წარმოება ჯერ კდე იმ მდგომარებაშია, რომ მისთვის აუცილებლათ საქ რა მფარველობა, რომელსაც ინი თხოვლობენ სახელმწიფოდან. სახელმწიფოც უწევს მათ ამნაირ მფარველობას მით, რომ საზღვარ-გარეთელ ნაწარმოებს ალებს დ-დ ბაქს; ამიტომ საზღვარ-გარეთის ნაწარმოებთა შეძენა ადგილობრივ მყიდველთ ძლიერ ძერათ უჯდებათ და ამისათვის იძულებული არიან ისე ადგილობრივ ნაწარმოებთ მამართონ. ამით, რასაკვირველია, იკებენ მექარხნები და ფაბრიკანტები და ზარალიბენ მყიდველნი და იათ შორის მეურნენი. ამას ჰქვია პროტექციონიზმი, ანუ მფარველობითი სისტემა. ამ სისტემას ადგას დღეს რუსეთი და აქ გასაკვირველი არაფერია, რადგანაც კაპიტალიზმი თავის განვითარებრს განსაზღვრულ საფეხურზე ამას თხოვლობს. ხსენებული კრება ჩვენთვის ორნაირათა შესანიშნავი. ერთი მით, რომ ის გეიმტკეებს: კაპიტალიზმის ისტორია ერთი და იგივეა ყოველგან, ე. ი. კაპიტალიზმი პირველ ხანებშივე იწვევს უკმაყოფილებას კაპიტალის სხვა-და-სხვა დარკის წარმომადგენელთა შორის, როგორც არიან, მაგ., მიწის-მფლობელებნი და მექარხნენი. ამას ეხედეთ ჩვენ ინგლისში, ამ კაპიტალიზმ-ს კლასიკურ მხარეში, მე-XVIII საუკუნის ბოლოდან დაწყებული;

ამასვე ეხედეთ საფრანგეთში და გერმანიაში დღეს; განსხვავება მხოლოდ ადგილ აბრივი პირობების მიხედვით არის გამოწვეული. მეორე მხრათ წრეწადელი სალბ-მიცემო და სამრეწველო კრება ნიქნი-ნოევკორდში მით არის ჩენთვის შესანიშნავი და საყურადღებო, რომ მოკამათეთა კილოს აშკარათ ეტყობა, რომ იათი ხმა არც ბავშვ-ს ტიტინია და არც შემთხვევით გამოწვეული, რომ ყოველ წამში მათ იყას ისე უკან წაიღონ. სრულებითაც არა. იათა წინადადებანი, რომელთა სისრულეში მოყენას ისინი სახელმწიფოდან ითხოვენ, გადაჭრილი და განსაზღვრულია; და თუმცადა ამ წინადადებათა უკანასკნელი გადაწყვეტა პირდაპირ იათზე არ ჰქიდ ა, მაგრამ ისიც დიდი ნაბიჯია წინ, რომ იათ წინადადებას მართებლობის წარმომადგენელინი არა თუ ლებულბენ მხედველობაში, არამედ ისინი სამართლიანათ და კანონიერათც მიაჩნათ. როცა ამნაირივე უფლება სხვა კლასის წარმომადგენელთაც მიენიჭებათ, იმ შემთხვევაში ჩენი საზოგადოებრივი წარმატების საქმე სანახევროთ მანც გადაწყვეტალი იქნება გადაედეთ ახლა მეორე კრებაზე, რომელც გაიხსნა პეტერბურგში გასულ სექტემბრის 21 და, რომელსაც თუ მეტი არა ნაკლები მნიშვნელობა მანც არ ექნება რუსეთის საზოგადოებისათვის, მიუხედავთ იმისა, რომ მას არაერთარი არსებითი გადაწყვეტლება არ დაუდგენია. ჩვენ ვამბობთ პურის ტარიფების 4) შესახებ მომხდარ კრებაზე. მაგრამ ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ფ. მ.

„კვალის“ კორესპონდენციები.

**ფ. კვალის** (შორაპნის მახრა, საჩხერის საბოქაულო). 15 ოქტომბერს, კალის გზაზე, მდინარე ყვირილას ახლოს, დიდი უბედურება დატრიალდა: აზნატრმა ლენტარ სეიმონის ძე აბაშიძემ მოკლა ხანჯლით თავისი ნათესავი და სახლისკაცი, აზ. ივანე დავითის ძე აბაშიძე საქმე ასე მომხდარა: დანაშავე ლენტარ აბაშიძე მინავალა თავის სახლში საჩხერიდან, სადაც მას საქმე ჰქონია ბზ წერეთლისა და პოზდევის კანტორაში. გზაზე შეჭვედრია მას განსვენებული ივანე აბაშიძე და, რადგანაც მათ შორის დიდი ხნიდანვე შუღლი და მტრო-

4) ტარიფი ჰქვია იმ გადასახადს, ანუ ბაქს, რომელსაც დებულობენ რაიმე საქონლის გადასატანათ.

ბა ყოფილა ჩამოვარდნილი. ეს უკანასკნელი ხანჯალ ამოღებული გაქანებულია ლენტორისკენ. ამა-საც, რასაკვირველია, უძვრია მაშინვე ხანჯალი და მოგერების დროს ლენტორის ხანჯლის წვერი მოხედრია იგ. აბაშიძეს ბარძაყში, გაუჭრია არტერია და სისხლისგან დაკლილი იფანე აბაშიძე ხუთ წამში გათავებულა.

დამნაშავე შეიპყრო საჩხერის ბოქაულმა და საჩხერის საპატიმროში დაატუსაღა. ენახოთ, რას აღმოაჩენს გამოძიება.

მე ვარ.

\* \*

ოქს. ადგილობრივმა გაზეთებმა სასტიკი იერიში მიიტანეს ქალაქის თვით-მმართველობაზე და ცდილობენ მის მიწასთან გასწორებას. ამის მიზეზი ის არის, რომ როდესაც ამ მოკლე ხანში ფინანსთა მინისტრი ბრძანდებოდა, ქალაქის თვით-მმართველობამ და ვაჭრებმა სადღილი გაუმართეს, რომელზედაც ხმონსებს გარდა, რასაკვირველია, ბევრი სხვა საპატრიო სტუმარიც იყო მიწვეული. ქალაქის გამგეებს, განგებ თუ უნებლაეთ, მხოლოდ ლიტერატორების დაპატივება დაეიწყო. როგორც ხედავთ ეს ფაქტი საკმაო ზეგავლენა casus belli განზღვრავს და ლიტერატორებმაც ასეთი შეურაცხება იწყინეს. ან კი როგორ არ უნდა წყენოდათ: ქალაქს ეწვია უმაღლესი მთავრობის წარმომადგენელი, დიან, საპატრიო სტუმარი, რომელიც ამასთანავე ოდესის საპატრიო მოქალაქეთაც ითვლება; ქალაქი უმასპინძლდება მას და თავისი „ლიტერატორები“ კი საღდაც დამალა, თითქო რცხენია მათი გამოჩენაო. ასე იქცევა ხოლმე დედა, რომელიც თავის ბინძურ და ქუჭკიან შეილებს არიდებს სტუმრის თვალსა. ალბათ ოდესის მუნიციპალიტეტმაც ასეთი თვალთ შეხედა ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებს და ითაკილა მათი გამოჩენა. უეჭველია, ამის საბუთი ქალაქის თვით-მმართველობას ხელთ ბევრი ექნება, ხოლო ეს კი უნდა აღენიშნოთ: ვისაც თითონ არ ესმის თავისი ღირსება და პატივი, ის სხვისგან სულ არ უნდა მოელოდეს პატივისცემას.


ამ ვაშთ აქაურ უნივერსიტეტში 20-მდე ქართველი სტუდენტია. უმეტესი ნაწილი ბუნების მეტყველებას სწავლობს, სხვა ფაკულტეტებზე კი ორი-სამი კაცია. საყურადღებოა, რომ აქაურ უნივერსიტეტში ათამდე სტუდენტია ჩვენი სათავად აზნაურო სკოლებიდან და თუ სხვა ქალაქებშიაც ისეთივე პროპორცია არსებობს საზოგადო რიცხვსა ზემო-ხსენებულ სკოლებში კურს-დამთავრებულ სტუდენტთა შორის, მაშინ თითქმის უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვა-

ლოს ზოგიერთების საყვედური ჩვენი სკოლების შესახებ. როგორც ყველგან, აქაური ქართველი სტუდენტობაც მეტათ ღარიბათ არის. თ. ზ. ერისთვის სტიპენდიას სამნი იღებენ, კავკასიის სტიპენდია კი ქართველთაგანს მხოლოდ ერთსა აქვს. წელს განზრახვა აქეთ გამართონ კავკასიური საღამო, რომელიც, თუ კი მოხერხდა, დიან, კარგი იქნება, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ასეთი საღამოების გამართვა მეტათ ბევრ დროს ართმევს სტუდენტებს, სწავლას აცდენს და ზოგჯერ, მოგების მაგიერ, მხოლოდ წაგება რჩება. აქ კი ამ საქმის მოხერხება მით უფრო ძნელია, რომ წელს პირველათ დააპირეს და წინეთ არასოდეს არა ჰქონიათ.

N.

\* \*

სოფ. შემოქმედი (ოზურგეთის მაზრა). მდებარეობით და ჰაერის სისალით, ეჭვი არ არის, ს. შემოქმედს პირველი ადგილი უჭირავს გურიაში. ამ სოფელს შუაზე ჩაუღის მდინარე ბუჯუგი, რომელიც ჰყოფს მას ორ ნაწილათ. ერთი ნაწილი, რომელიც ჩრდილოეთისაკენ ძვეს, უფრო ვაკე და სახანე-სათესია, ხოლო მეორე (სამხრეთის ნაწილი) წარმოგვიდგენს შეენიერ, მწვანეთ შემოსილ გორაკებს, რომლების ერთ-ერთ მწვერვალზე ამართულია დიდებული შემოქმედის მონასტერი, ეს ძველის-ძველი მოწამე გურიის მთავრების ძლიერებისა. მონასტრის გორაკის ძირს შუილით მიჰქუხს მოუსვენარი ბუჯუგი, რომელიც ადიდების დროს საშინელს გაჭივრებაში ავდებდა ხოლმე აქაურ მცხოვრებლებს. სოფელს საშუალება არ ჰქონდა, რომ ამ მდინარეზე მაგარი და სამუდაო ხიდი გაეკეთებია, ადგილობრივი უფროსებიც ამ საქმეს გულ-გრილათ ეციდებოდენ, ხოლო სოფლელების გაჭირება და ტანჯვა უხილავის გამო დღით-დღე მატულობდა. ღღეს კი ბ. იავ. მამინაიშვილის შემწევობით ეს გაჭივრება თავიდან აცილეთ. ბ. მამინაიშვილი გულმოდგინეთ შეუდგა ხიდის გაკეთებას მდინარე ბუჯუგზე და სოფლის მცხოვრებთა ცოტაოდენი შემწევობით, დღეს ხიდი მოსრულებულია და მზათ არის საკუთრებლათ. დიდი მაღლობის ღირსია ბ. მამინაიშვილი, რომელმაც ასასი თუმნობით არ დაიშურა თავისი ჯიბის ფული და ეს საქმე ჩინებულათ დაავიჯრეინა. არა გვეკონია, სხვაგან გურიაში კიდევ იყოს ისეთი მაგარი და ქვის-საფუძველებ ამოყვანილი ხიდა, როგორაც ახლა ჩვენ შემოქმედშია. აქაური ორ-კლასიანი სკოლის შენობაც, ყველასაგან უყურადღებოთ მიტოვებული, დღეს ამ კაციდან მოეღის „მკედრეთით აღდგომას“.




ქალაქი ტრაპიზონი.

რადკანაც დღეს სკოლის მზრუნველიც ეს კაცია. ყველა ძალიან მადლობელი და მოხარული ვართ ბ. მაინაიშვილის მოქმედებით. ვისურვებთ, რომ ყველა სოფლებში აღმოჩნდეს ასეთი გულშემატყეიერი აღმინა.

მკონი, არც ერთი გურიის სოფელი ისე არ სპირობდა წიგნთ-საცავში, როგორც ს. შემოქმედი აქ თითქმის სუყველამ იცის წერა-კითხვა, მაგრამ სუბედროთ, საკითხავ წიგნებს ვერ შოულობენ თუცა გულშემატყეიერები ამ საქმეს ბევრი ჰყავდა, მაგრამ ნება რთვის აღება ძალიან გაეცაძენლა. დღეს, როგორც იყო, ველირსეთ ნება-რთვის მაღებს, რ-ს-თვისაც უფულითადეს მადლობას ეუძღვნ-თ თ-ღ კონსტანტინე მალაქიას-ძე გურიელს, რომელმაც მ-ი-ლო თავის თავზე შ-რ-ამა და აიღო თავის სახელზე წიგნთ-საცავის ნება რთა ამ ყამათ წიგნების შეგრო-ვებ-ში ყველა გულშემატყეიერებს ვთხოვთ დახმ-არებას. აგრეთვე ვთხოვთ ბ. ნესტურ კალანდარ-შვილს გამოგვიგზავნ-ოს ის ფული, რომელიც სხვა-და-სხვა წარმოდგენების-გან შეკრებილი იყო მომ-ავალ ის შემოქმედის წიგნთ-საცავ-საქითხველობს სა-სარგებლოთ, და რომელიც დღეს მის ხელშია: შე-მოწირულების გამოგზავნა შეიძლება შემდეგ აღ-რესით:

Р. Олургеы. Его Сіятельству князю Константину Гуріели, а5 Смотрителю Шемокмедскаго двухъ класснаго училища Филиппу Мгеладзе.

ფ. შკელაიკ.



უცხოეთის ქრონიკა.

**მ**ომარია (მოგონება) თავადი ლობანოვის აღმო-საჯელის საქმეებს. ერთ გერმანულს გაზეთ-ში, როგორც გვაუწყებს „კავკასი“, დასტამ-ბულია თავადი ლობანოვის მოხსენება აღმოსავლეთის საქმეების შესახებ, რომელიც მან დაგზავნა ყვე-ლა ევროპის სახელმწიფოების კარზე იმ დროს, რო-ცა ხელმწიფე იმპერატორი თავის მეურლითურთ ემ-ზადებოდა ევროპაში მოგზაურობას.

ეს მოხსენება იწყება ასე: „ევროპის მშვიდო-ბანობის დაცვა უპირველეს წადილს შეადგენს რუ-სეთის პოლიტიკისას. ვინიკობა, რომ ევროპიელ ჯარით დიჭირონ კონსტანტინოპოლი ეს ისეთ უკ-მაყოფილებას და მოულოდნელ შემთხვევებს გამო-იწვევს ევროპის სახელმწიფოებს შორის, რომ უომ-რათ არ დაბოლიდებდა. მაშინ, როდესაც ამას მო-

ჰყვება ისეთი დიდი უბედურება, რომ მასთან შედა-რებით ახლანდელი სომხების დენა და მათი ქლუტა არაფრათ გამოჩნდებოდა აი, რ-ს გამო არასფრის ნაი-რათ ევროპის ჩარევა იარალით ამ აღმოსავლეთის საქმეში არ უნდა მოხდეს ამას წინადაწინვე აღე-ა-რებთ. რამდენათაც შესაძლოა, რომ ოსმალეთში ასატა-ნი მდგომარეობა დამკვიდრდეს და მშვიდობიანი ცხოვრება მიენიჭოსთ ქრისტიანებს, მიუცილებლათ საქროა, ვისარგებლოთ სულთანის უფლებით აი, ეს უფლება უნდა დავიფაროთ და გავაძლიეროთ ყო-ველი ჩვენი ღონისძიებით, რადგან ამავე სულთანის საშუალებით შეიძლება განზორციელდეს ისეთი ცვლილებები, რომელნიც საქროანი არიან ქრისტი-ანების მდგ-მარეობის გასაუმჯობესებლათ. საწელში-ფოვებმა შეძლებისამებრ უნდა დავხმარონ სულთანს და, თუ საქროა იქნა, ფულითაც შევწიოთ-ა“. ამ მო-ხსენებას, რასაკერ-ველია, ყველა თავისებურათ გაი-გებდა, მაგრამ ინგლისი კი მეტათ უკმაყოფილოთ დარჩებოდა, რადგან უმისოთაც სხვა სახელმწიფოე-ბი, რომელნიც უფრო ახლოს დგანან დღეს სულ-თანთან, საქროა დახმარებას გაუწივენ მას, ამ სახით ევ-როპის საერთა-შორისო საქმეების მოწყობაში თუ აქამდის უპირველესი როლი სამთა კავშირის ხელში იყო და ყველ-ს ამ სახემწიფოებისკენ ჰქონდათ მი-პკრობილი უმთავრესი თავის ყურადღება, ამ უკანას-კნელ ხანებში ევროპ-ს სახელმწიფოთა შორის აშნი-რი განწყობ-ილება საუკუნ-ით თუ არა, დროებით მაინც სრულიად შეიცვალა. ინგლისსაც, რასაკერ-ველია, ჩამოერთვა მისა განკერძოებითი და დამოუ-კიდებელი მოქმედება ყოველ საერთა შორის საქმე-ში. ამ ყამათ ევროპის საერთა-შორისო პოლიტიკა-ში პირველ ადგილს იჭერენ რუსეთი და საფრანგე-თი. ამიტომ ინგლისის გაზეთებმაც სხვანაირათ და-იწყეს ლაპარაკი. იმათ გამოთქვეს აზრი რუსეთის და ინგლისის შეთანხმებაზე; ამ შემთხვევაში მოსალოდ-ნელი იყო ახალი სამთა კავშირის დაბადება: რუსე-თი, საფრანგეთი და ინგლისი, რომელსაც მართლა რომ დიდი მნიშვნელობა ექნება. მაგრამ ვაზ. „Nord“-ის სიტყვით, რუსეთის შეთანხმება ინგლისთან შეუძ-ლებელია, რადგანაც ეს უკანასკნელი თავის დამო-უკიდებელ პოლიტიკას არ უარჰყოფსო. ამის მერე ინგლისელმა გაზეთმა, „Morning Post“ მა, წამო-აყენა კითხვა ინგლისის შეკავშირებაზე გერმა-ნიასთან და აესტრო უნგრეთთან, მაგრამ ეს სულ მოუხერხებელი გამოდგა, რადგანაც გერმ-ნია დაეჭ-კა ინგლისის აფრიკის კოლონიების შესახებ. აქ ყე-ლაზე უფრო საინტერესოა ის, რომ ინგლისის მთავ-რობამ აშკარათ უარ-ჰყო თავის წინანდელი პოლიტი-კა სომხების შესახებ. გარეშე პოლიტიკ-ს წარმომაღ-

გენელმა, კერზონმა, მაგ., საყოველთაოდ განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა სრულებით არ ერევა სომხების მოქმედებაში; რადგან ინგლისის ინტერესს შეადგენს მშვიდობიანობისა და კეთილ-დღეობის დაცვა ბრიტანიის ყველა ქვეყნად. უარყო რა კერზონმა ინგლისის განცხადებითი ჩარევა სომხების საქმეში, ბოლოს დამთავრა თავისი სიტყვა: „ინგლისის უპირველესი მოვალეობაა კანონიერათ იმოქმედოს ევროპის სახელმწიფოებთან. ისინი უნდა დარწმუნდნენ ჩვენს უნაგარო მოქმედებაში. ჩვენი განწყობილება რუსეთთან გულწრფელი და მეგობრულია“.

ამას შემდეგ განაშესაძლებელია რაიმე განსაზღვრული გზა



ერთი ძველთაგანი შენობა ლონდონში.

ამოაინოს კაცმა აღმოსავლეთის საქმის შესახებ? განა ევროპის თვით უძლიერესი მთავრობანი არ ამცირებენ თავის თავს ოსმალეთის მთავრობის თვალში? განა ამნაირი საქციელი ევროპის სახელმწიფოებისა სულთანს პირდაპირ იმის საფუძველს არ აძლევს, რომ ამ უკანასკნელმა არც ერთი დაპირებული რეფორმა არ განახორციელოს? და მართლათა სულთანი დიდი ხანია მარჯვეთ აღვას ამ გზას. ამიტომაც ჩვენ ძლიერ

ვკის თვლით ვუყურებთ პირველათ ბერლინის გაზეთებში დაბეჭდილსა და შემდეგ რუსულ გაზეთებშიაც გადმობეჭდილ ცნობებს იმის შესახებ, რომ ეითომც ახლო მომავალში ელოდებოდნენ კონსტანტინოპოლში ელჩების კოლექტივურ (შეერთებულ) მოქმედებას.

მ. მ.



### ვაჟა-ფშაველას პოეზია.\*

(კრიტიკული წეს.)

ავტორე არწივის მხრიდანა  
ლერწმები ჩემის სტვირისა\*  
ბანანა.



ვერი თქმულა და დაწერა ადამიანზე ბუნე-  
ბის გავლენის შესახებ. ბუნება სკოლაა ადა-  
მიანისათვის და მისი ძლიერება შეზღუდუ-  
ლია. როგორც სკოლის, ისე ბუნების გავლენაც შე-  
მოქმედ ძალას მოკლებულია: იგი მხოლოდ უღვი-  
ძებს, უწერტნის და თავის ფორმით უმოსავს ადამი-  
ანს მის ბუნებითს ნიკიერებას, თვით ნიჭი კი აზე-  
გარდმო-შთანაბერია“, მაგრამ, ვით სკოლის, ისე ბუ-  
ნების ძლიერებაც მძლავრი, მაღალ — ხარისხიანია.  
ბუნება, როგორც ჰაერი, ჩუმათ, აუჩქარებლათ ჰკე-  
ბავს ადამიანის სულსა და, თვით ადამიანისათვის  
უჩინარ-შეუტყობინებლათ, თავის დაღს ასეამს ყო-  
ველ მის სიტყვას, ყოველ მის მოქმედებას, ყოველ  
მის გულის პასუხსა და სულის მიწრაფებას.

ყველა ამის დამამტკიცებელი საბუთები უხვათ  
არიან გაბნეულნი ფშაურ ლექსებში და ვაჟა ფშავე-  
ლას პოეზიაში. მათი შემოქმედების განსაკუთრებუ-  
ლი ხასიათი გმირობაა, ფშაველთ მთიანი ბუნების-  
საგან აღზრდილი და ამ ბუნების შევნიერებით შე-  
მოსილი.

ვაჟაგას გული რგინისა,  
აჟაჩი უნდა სისაო;  
თვაღნი ქარბუღელ მსეღაგნი,  
მქსლები შაგაღდნისა!..

მღერს ფშაური ლექსი, და ეს მოტივი, ათასნა-  
ირათ მოკაზმულ-აფერადებული, ცოცხლობს ვაჟასა  
და მის მშობელ ხალხის პოეზიაში და ფორმაზე, სი-  
ტყვათ-თხზულებზე, სასტრკათ გავლენიანობს.

ფშაური სიტყვა დინჯი და ახოვანია, სიტყვა  
კლდეების გულზე გამოჩევილი და აღზრდილი, ე თ  
მთის აპაყი, თავ-მოამწონე არწივი.

შკადარეთ მაგალითათ ფშაური კილო ზემო-და-  
ქვემო იმერულ კილოს: რა დიდი განსხვავებაა მათ  
შორის.

იმერული კილო — მსუბუქ-შნოიანი, ფეხ-მარდი  
და ნაზათ და ლამაზათ გამძერენ-გამომძერენია. ფშა-  
ური ქართული კი მძიმეთა და მტყიცეთ დგას თავის

ადგილას, მისთვის ზეკით მიმადლებული, შინაარსით  
ამაყი და კმაყოფილი. იმერული სიტყვა კი თითქო  
მისთვის გადაჭრილ-მისაჯულ აზრ-შინაარსს არ ჯერ-  
დება, ნაზათ აქნევს თავის გველ კუდსა და მეზო-  
ბელ სიტყვებისაკენ იწევს, გვეგონებათ იქითკენ აპე-  
ლაცია გადააქცოა.

ფშაურ ფრაზას მოკლე და კუდ-მოჩეხილი, მსხ-  
ვილი შტოები აქვს, იმერულ კუდიან კონსტრუქ-  
ციაში კი სიტყვები კული კულზე არიან გადაბმულნი  
და ერთათ, ნაზათა და ლაზათიანათ მოძრაობენ.

ფშაური კილო უფრო ქართლ-კახურ კილოს  
წაავებს სიღინჯითა, მაგრამ თავისებურობა, ორიკინა-  
ლობაც იმდენი აქვს, რომ ქართლელს, კახელსა და  
იმერელსაც მისი გავება ეძნელება. მართლაც, ყურა  
თუ არ შეაჩვიეთ, ფშაველი ფრაზების მძიმე ბრავა-  
ბრუგი შეგაშინებთ და შეიძლება გააკციოთ კიდეცა.

ნამდვილ ლიტერატურულ, სტამბ-სათვის მომ-  
ზადებულ-მოხაზირებულ ქართულ ფრაზას თქვენ  
მხოლოდ ქართლში თუ გაიგონებთ. ქართლელი ფრა-  
ზის სილამაზე მისი სასტიკი, ლოგიკური მოხაზულო-  
ბაა, მხოლოდ მას პოეზია აკლია, ისე დასურათებუ-  
ლი არ არის, როგორც იმერული ან ფშაური ფრა-  
ზა. ქართლის ქართული წმინდა, გრამატიკული ქარ-  
თულია (?). გიკვირთ და ვერ მიმხედარხართ, თუ რო-  
გორ მოხდა, რომ ჩვენი სალიტერატურო და ჩვენი  
ხალხური ენა ისე ახლოს არიან ერთმანერთთან და,  
გულზე სულ-დადებით რომ ვთქვათ, — ხალხური ენა  
კიდეცა ჯობნის ჩვენი თანამედროვე მწერლობის ენას  
სიწმინდითა ძლიერებით. ზე ჩვენი მწერლობა, ჩვენი ლი-  
ტერატურა იმდენათ დაქვეითებულ-განუფითარებელია,  
რომ ფორმით ჩვენ ხალხურ ენაზე დაბლა დვას, თუ  
ჩვენი ხალხურა ენაა გაწმენდილ-განათლებული, ერთ  
დროს მაღალისა და აწ გამკრალი კულტურის შთე-  
ნილი ნაყოფი, და იმიტომ ჩვენი მწერლობის ენას  
მხარ-და-მხარ უდვას კი არა, კიდეცა ბევრათა ჭარ-  
ბობს.

ეს ფრიად საგულისხმიერო საკითხავი დღეს  
ზინდით არის მოცული ჩვენში.

ფშაური ქართლის ნამდვილი ლირსება მისი  
მაღალი, დასურათებული შევნიერებაა. ფშაველთ ენა  
გვიმტკიცებს, რომ ამ მთიული ხალხის ფიქრი და  
გულისპასუხი მხატვრული, პოეტურია. მათი ფიქრ-  
ნი ჩვენი ბარის ფიქრებსავეთ როდია ხმელი სიტყვე-  
ბისაგან შემდგარ-ამწკრივებულნი. ფშაველის ფიქრთ-  
წყობილება მშრალი ლოგიკური მძივი არ არის —  
სურათების გაღერება.

ფშაველი ბრძოლაშიდაც პოეტია და მყუდრო  
მშვიდობიანობაშიდაც.

\* იხ. „კვალი“, № 44.

„მოტიქულობენ ტუვიანი“,  
„შუსნი იქნევენ ენას!“

ასე ავეიწერს ბრძოლას ფშაეური ლექსი და ამ ორ სტრიქონს ცოცხალ სურათთა აქცეს ჩვენ თვალ წინ. აქიდან ცხადათ ჩანს, რომ უსულლო საგანი მსწრაფლ სიცოცხლით იმოსება ფშაეელის ფიქრში და ისე ჩნდება ამ ქვეყნათ. მართლაც, განა ზარ დამცემი მოციქულობა არაა ტყვიათ ბზუილ ბზუილი ბრძოლის ველზე? ტყვიის მატანილი ამბავი — სიკვდილია, და ამას თქვენ ფშაეელის ერთი სტრიქონი გეუბნებათ; შუბთა ენის ქნევა — სასიკვდილო ენის ქნევაა. აი, რა ამბავი მოაქვს შინა ფშაეელ მეომარს:

— რა მიეჯ, მამამთილათ,  
თინბეჟ, ჩემი ქმარი?

ჭკითხავს რძალი მოსუც გმირ-მეომარს: —

— თინბეჟ წყაროს გავწივო,  
სისხლის აწყით მოვრავო;  
ფესთით დაუბი ლურჯავი,  
დასტირის, როგორც ცალიო,  
გვერდით დაუჭკვეს დროში,  
ნამტერევი შუბის ტარო.  
დაჭებრავს დილის ნიავი  
და აწრიალეს ქარო;  
თავით დაუხკეს უორანი,  
შენ გამოთხარე თვალო.

ეს არის ფშაეელი გმირის სიკვდილი, გმირული და მხატვრული ერთი მოთხრობილი.

ვაჟა-ფშაველა, ემეორებ, თავისი მშობელი ხალხის მალოთ წინამძღოლია, ენითა და აზრითაც. ფშაეელს ენა ფშაეელთ ენაზე უფრო მალო-აზრიანი და დასურათებულია, მაგრამ მათი სიტყვები მანაც ერთ სამშობლოში არიან დაბადებულნი და ერთი შემოქმედების მზის შუქით აღზრდილნი.

ხან-და-ხან ვაჟა-ფშაველას მისი ვაჟა ფშაველობა ავიწყდება და ნამდვილ ხალხურ სიმებს ააყვრებს ხოლმე. შეადარეთ ერთმანერთს შემდეგი ლექსები: —

ფშაეური ლექსი. \*)

სოგაის მინდი კვდებოდა,  
მზე წითლდებოდა, ცსრებოდა,  
ცა ჭკსდა, მიწა გრვინავდა,  
სული გვიანა ჭხდებოდა!..  
ჩამოდიოდა მასკვლავი,

მოვარეც უკუღმა დგებოდა;  
ქორ-შავარდენი, აწწავი,  
სუ მსრებით ისოშებოდა...  
მადლის ჭიუხის ნადირი  
სატირლათ ემხადებოდა;  
ცსენი იმისი, ტალი,  
ლურჯა — ტოტუნეა დგებოდა;  
ცოლი იმისი, ბეჩავი,  
სულ შავათ იმოსებოდა;  
დედის იმისას, საბრლოს,  
ტირლეს ღარა ჭხდებოდა;  
მამა იმისი, ბეჩავი,  
თმა-წვერით ისოშებოდა.

ახლა ვაჟას დაუკდეთ ყური. —

როცა გიგლია \*\*) კვდებოდა  
მთებ სატირლზე სსდებოდა,  
ერთი ბებერი აწწავი  
ზეით ჭიუხში წყრებოდა;  
საყორნის თავი მადლი  
ზედ შუა გულზე ტყვრებოდა,  
მადლით მომეგრენი მთის წყარო  
სიმკალულისგან შვრებოდა.  
ბეჩავი იმის ლურჯავი  
გიგლიას თავით ბნდებოდა.  
ტოტ დანცის, დიჭისენის,  
თვალეში ცრემლი სდებოდა.  
სამყარომ შავი ჩიცვა. .  
მევირავი რადას შვრებოდა?

აქ, როგორც ხედავთ, ხალხური ენა ვაჟას ენაზე უფრო მძლავრობს და სურათოვნებს, აზრი და კილო კი ერთი და იგივეა რივეში.

ამისთანა გულ-მაკიწყობის მაგალითები ძვირია ვაჟას პოეზიაში. იქ, თითქმის ყველგან, ვაჟს შემოქმედება ხალხის შემოქმედებაზე ბევრათ უფრო მალოა ჰქუხს და შეწევაგებს. ვაჟას შემოქმედებაში, აქა-იქ, ჰომეროსის სტრიქონებსაც შეხედებით და გული ავითამაშდება ხოლმე, საწეტაროთ განცვიფრებული. მკითხველმა ყურადღება თუ მიიქცია, ორჯელ კიდევაც შეხედით წინა წერილში: იქ, სადაც ვაჟა ლაშქართ ყრილობას ავეიწერს. არ ეციო, მკი-

\*) „ვეშავური ლექსები“, შეკრებილი დავით სიყანაშვილის მიერ, გვ. 44 და 98, გამ. 1887 წ.

\*\*) „გიგლია“, გაზ. „ივერია“, ენკინისთვის №12, 1886 წ.

თხველს რა დაემართა, მე კი თვალები დამხუჭა და საამო შიშთვილის ქრუანტელმა დამიარა ტანში, ლაშქართ ყრილობაში, შემდეგ სტრიქონთ რომ მოეკარი თვალი: —

„სუესუტო, რა ზეჯამა მთისამა“,  
„წინ გაიმძღვარეს ჭრამა“.

დიდებული სურათია. არაფერი დაწერილებითი აწერა არ შეედრება ძლიერებით ამ ორ სტრიქონში ჩამონაქუბ-ჩამოხვევებულ ხეცურთ ლაშქრის მძლავრ კვეთებას. ამ სტრიქონებში ბუნების ორი დიდებული მოვლენის მკვრეგინავი სულია მომწყვდეული: თოვლისა და მემართ ზევისა; და ამ სულის წინამძღვარი — ქარია, ის ქარი, რომელსაც ყველგან მალალ მხატვრობას უძახიან. ამ სიტყვებში პოეტის მთელი ბუნება ცოცხლობს, ბუნება სალი და მძლავრ-ანოვანი-პოეზია, რომელიც მთების თოვლიან-ყინულიან მწვერვალებზე ბუდობს და თავისი ბრწყინვალე შუქით პოეტის გულს ჰმოსავს და ასაზრდობს

პოეტი — ღმერთის მოციქულია, იმ შოთას ღმერთისა,

გინ აჩს სასუბა ყოველთა,  
მდგავსებს მსუბუქ ფენითა.

ამ ღმერთის უკვდავი შემოქმედება გვაჩენა ევა-მაც, როდესაც ღვთისგან ერთნაირათ ძლევა-მოსილი, ერთნაირ ქარ-სულთქმით გაწინამძღვრებული თოვლთა და ხეცურთ ზეენი გადმოგვიქუხა თვალ წინ. გმირ-ეაქაცთა და ზეეთა „საესება“ — ღმერთია, და ამ ღმერთს პოეზიას უძახიან.

იგივე ეაქა იმავე ჰომეროსს მოგვაგონებს, როდესაც მთიულთ ჯარის მდინარებას აგვიწერს:

თითო ზეეს აჩაკვისას  
თან მოდეს დაშქრის დეარო.

ან მეფე ერეკლეს დიდებულათ რომ დაგვიყენებს თვალ წინ: —

მოქლი სიტურფე ქართლისა  
იმას ესუნა მსრუბუნა,  
როგორც შუქი მთავრისა  
აღბუნისა ქედუნა. \*)

აქ განმარტება არ არის საჭირო: ნათელი, მოეღვარე შევნიერება.

აი, ევა-ფშაველას გულის პასუხის მაგალითები. მისი შემოქმედების ფორმა, მისი ნიჟის სამოსელი — ახალი, თავისებურ — ორიგინალურია. ჩვენ მწერლობაში

ბაში ეაქას ვერაის ვერ შევადარებთ, იმიტომ რომ ამ შედარებისათვის ნიადაგს ვერ ვპოულობთ. ნურა-ვინ იფიქრებს კი, თითქო მე ეაქას ყველა ჩვენ მწერლებზე მალლა ეაყენებდე ფორმითა. ორიგინალობა ათასნაირია ამ წუთისოფელში. ეაქას ორიგინალობაც-მისი საკუთრებაა. ა. ჟაზიზგის ენა ეაქას უთმობს პირველობას: მანე ნაკლები მძლავრ-თავისებურია ზ სხვათა მწერლობის ბეჭედი უფრო ღრმათა აქეს დაჩენილი, ვიდრე ეაქას შემოქმედებას. ეაქა — „ლალი შეილია მთებისა“ და მხოლოთ იმას გვეუბნება, რაც ამ დიდებულმა ბუმბერაზებმა ჩაუჭირა უღეს ყურში, და იმიტომ არის მისი კილო განსხვავებული ჩვენ მწერლობაში.

როგორ უნდა შევადაროთ, მაგალითათ, ეაქას ენა რუსთველის ენას? რუსთველი მთების ნაჩურჩული ენით კი არ გვესაუბრება, თვითონ განხლავს ბუმბერაზი, იმდენათ მძლავრ დიდებული, რომ მან მთელი ჩვენი ქვეყნის ელვარება — ჩვენი სამშობლოს მზე, ამწვანებული მთები და ქალები, ანკარა და მქეთრ-მქუხარი წყლები, ღვთისაგან მთელ ჩვენ ხალხში დარბეული ემხიანი სილამაზე და ტრუიალება — ერთი სიტყვით: მთელი ჩვენი სამშობლოს მვენიერება — აკრიფა, თავისი გენიის კერაზე მოადულა, მერე თავის შაირებში გადმოადინა და ამით გაითქვა სახელი. მის ლექსში ერთის და ელავს მთელი ჩვენი ბუნების თავისუფალი ბრწყინვალეობა; მის რითმებში ცოცხლობს მთელი ჩვენი გარეგანი ცხოვრებას მწყობრი ჰარმონია, მდიდარი, უხვი, შევნიერო. ათასჯერაც რომ დამტკიცდეს მისი ნათქვამი, „ჩემი პოემის ზღაპარი — ჩემგან გალექსილი, „ქართულათ ნათარგმანები სპარსულითა“, მის დიდებას არაფერა არ მოაკლდება, რადგან მისი დიდება — მისი ენა არის, მისი „გამოთქმის ხელოვანება“, ენა მხატვრულ-აზრიანი, ენა მალალ გრძობიერი, ენა „ბებერთათ ასული“. რამდენჯერ აუტოკავს ჩემთვის მალალი მხიარულებით გული ამ ენის მწყობრ მუსიკას, რამდენჯერ აუნთია თავისი უკვდავი შუქით ჩემი თვალები, ჩვენი აწყობა შაირობით დაღამებულნი. რუსთველმა შემეყენა მე პირველათ ქართული ენის საუნჯეში — მის გულში შენახული გამოუღვეელი სომდიდრე მაჩენა. მან შემეყენა საქართველო, მისი მგონსური წარსული, მისი ბედი და ხელში ქართულთ კალამი ამაღებინა. მაგრამ ამ სიმდიდრის შემკობას კალამების რაზმი უნდა: ერთი აქ ვერაფერს გააწყობს.

თავი დაენებოთ იმათ, ენც ჩვენში რუსთველის დამცირება მოინდომა. ისანიაში ხალხური თქმულება დარჩენილი: ერთი უჭკუო მწვისქვილე თავის ჯორებს განურისხდა: „როგორ გაბედეთ და ქვეყნის მანათობელი მთვარე შესვით და დალიეთო!“ საბრა-

\*) „მოსუდის ნათქვამი“, კახ. „იგურია“, № 59, 1886 წ.

ლო ოთხ ფეხთ კი მხალთ მთვარის სახე დალიეს, ღაწე მათ წინ მღერე წუქვეში გამოსახული. მთვარე კი მაღლა ზეცაში შექმფანარობდა ჩვეულებრივით.

ჩენც, კარლეილის არ იყოს, იმ მეწისქვილეცათ დავეფმართება, ჩენი მწერლობის ჯაუტებს თუ გამოვუდექით. დეე, დალიონ მათ წინ მღერე ქართულში გამოსახული რუსთაველი და ამით თავისა კოსმოპოლიტური წყურვილი მოიკლან. ჩენი შოთა მარც ძველებურათ ცოცხლობს ჩენი მწერლობის ცაზე, უკვადეი და შექმფენარი.

ი. ნაკაშიძე.

(ქემდეკი იქნება).

\* \*



აენასკევე სიხსა, გაწყევიტილს, აეამკენსარებ ძალოთა, გაეკრავე-გამოეკრავ თითებსა, ჩაეუხმატვილებ წყნარათა. გულს ტალოთ ვაქევე, სულს კეერთ, გრძნობას მწველ ნაბერწყალათა, აბედათ — მთელსა არსებას, გადაქმნილს ყინულ-სალოდა. ცეცხლს მოეკადებ, მის გუკუნს ეიხმარ ტვილ მოძახილათა; აეაფრთოეანებ ოცნებას ასე მიეარდნილს ძილოთა. გავანაეარდებ ცისაკენ, შეეუკ-მათებ მთვარესა, მიეურაყიფებ ალიონს, კეკლუკათ მანარნარესა. მზე რომ ცას ისარს შეტყორცნის, შეუთამაშებს სხეებსა, — მეც ჩემ ფერულს იმის ციმციმში ჩაექარგავ, როგორც მძიეებსა.

განდეკილი.



# ყ ვ ს ა ე თ ი ღ ა ნ .

სოჰეელი და სასოჰელო სკოლა გერმანიასი

II \*)

ს კ ო ლ ა .



სხე და სხეა ი სკოლა დეათეალიერე და არსად არ მანახავს, რომ მასწავლებელს შეეგირდი დაესაჯოს ან დაეტუქსოს. ასეთი ზომების საჭიროება არ ყოფილა. ბავშვებს გაკვეთილის დროს სრულად დაეწევილი აქეთ ცეკობა, უკულმართობა; მათი ყურადღება მასწავლებლისაკენ არის მიტეული. სკოლის დისციპლინა თავიდან ბოლომდის დაცულია და ეს არა ძალდატანებით, მასწავლებლის ღრიალით და ბავშვების ცემა-ყლეტით, არამედ სრულგბით თავის თავით, ორივე მხარის სრული თაეისუფლებით. მასწავლებელი და მოწაფლე ერთმანეთს არ უტეერიან, როგორც ორი მოპირდაპირე, ერთმანეთთან მებრძოლი არსება, როგორც მბრძანებელი და მოჩილი ბატონი და ყმა. ერთი სიტყვით, მათ შორის წინააღმდეგობა მოსპობილა. მოწაფემ იცის, რომ ის სკოლაში სწავლისთვის არის და არა თამაშობსთვის. მასწავლებელი ცდლობს ბავში არ მოაწყინოს და ყველაფერი სიამოვნებით ასწავლოს. ბავში სკოლაში წასელა და იქ ჯდომა უხარია, რადგანაც მისთვის სკოლა უღელს არ წარმოადგენს და არც მასწავლებელი შეეეწებულ ადამიანს. რატომ არსებობს ასეთი განწყობილება? ამის მიზეზები მრავალია, ზოგი მდგომარეობს თვითონ სწავლის მეთოდში, სკოლის საზოგადო პირობებში, — ეს პედაგოგიური მიზეზებია, ზოგი კი თვით ცხოვერების წყობილებაში, მცხოვერებთა საზოგადო ურთიერთობაში, — ეს სოციალური, ანუ კულტურული მიზეზებია. პირველ შემთხვევაში უპირველეს როლ, თამაშობს შეეეველათ ის გარემოება, რომ შეიდი წლის კურსის საშუალებით და ყოველიეც ორჯელ სწავლა, საგნების შეგნება საშინლათ გაადვილებულია და ბავში რაც ადვილათ იგნებს, მით ინტერესდება და ხალისიანდება, გაკვეთილი მისთვის სატანჯავ დროს არ წარმოადგენს. მთელი პედაგოგიური სისტემა აშენებულია იმაზე, რომ მოსწავლეს საგანი ადვილათ შეათვისებინონ, ეს პრინციპი სამაგალითოთ გატარებულია სკოლის პრაქტიკაში, რაც შეადგენს ერთ დიდ მიზეზს დისციპლინისას. მარა მეორე მხრით, ყველა ამის საძრკველი დამარხულია კულტურულ

\*) ის. „კვლეა“ № 44.

წყობილებაში. სისტემა და წესიერება ცხოვრებაში თავის თავით ჰბადებს სისტემას და წესიერებას სკოლაშიაც. აქაურ ბავშვს სხვანაირი მიდრეკილება და მოქალაქობრივი თვისებები აქვს, ვინემ ჩვენებურს. ვერასოდეს ის ვერ გაიგონებს საზოგადოებაში ან ოჯახში უწმინდურ სიტყვას, უთაბოლო ლანძღვას, გინებას, მოუხილველ შელაპარაკებას. ის თავიდანვე ეჩვევა ზრდილობას და რიგიანობას, ის თავიდანვე ასეთ პირობებში იზრდება. მეორე მხრით, ბავშვს აქ საპატიო ალაგი უკავია. მას უტყქრიან ისე. როგორც მომავლის მქონეს, მერმისის საძირკველს. საზოგადოება მას პატივით ეპყრობა და არა აგდებულათ, უმნიშვნელო ვიგინდარათ. ერთი სიტყვით, აქ ბავშვით თავისი ქვეყანა აქვთ, რომელსაც დიდები ვერ შელაზენ, ვერ დამცირობენ და თავის ქვეყნის ქვედა-საფეხურზე ვერ დააყენებენ. აჩიტომ ბავშვებში გაძლიერებულია თავ-მოყვარეობა, მარა თავ-მოყვარეობა წესიერ საზღვრებში. ის საშინლათ შეურაცყოფილათ იგრძნობს თავს, თუ მას აგდებულათ მოეპყარი. ის თხოულობს პატივისცემას, რადგანაც თვითონაც უფროსებს პატივისცემით ეპყრობა, ყველა მის მოქმედებას, ურთიერთ შორის დამოკიდებულებას კაცური ბეჭედი აზის, ყველაფერში დიდებს <sup>1)</sup> ჰბძავეს, მას ეჩქარება გაზდა, გაკაცება. ერთი 12 წლის ბავში მებუნება: როდის იქნება ერთი მეოთხე კლასში გადავიდეთა, — ასე რატომ გენატრება მეოთხე კლასი? დავეკითხე მე. — იმიტომ რომ მასწავლებელი მერე „შენ“ კი არა „თქვენ“ მეტყვისო! აი, ასეთია აქაური ბავში. რა გასაკვირველია, რომ აქაურ სკოლაშიაც დისციპლინა მეუბოდეს.

სწავლის საგნები. ამ კითხვის გამოსარკვევით ჩვენ ეიხელმძღვანელებთ, ოფიციალური „სწავლების ნორმალური პლანისაგან“, სადაც გარკვეულია როგორც საგნების სწავლა და მასწავლებელთა მოვალეობა, ისე გაკვეთილების განაწილება - განწესება. სახალხო სკოლის საგნებია: I რელიგია, II ენა, რაიცა განიყოფება შემდეგ ნაწილებთ 1, კითხვა, 2, ლამაზი

<sup>1)</sup> „Normallehrplan für die württembergischen Volksschulen“, გამოცემული 1870 წ. და შეესება ერთ კლასიან სკოლას პროტესტანტების, კათოლიკების და ებრაელებისას, ჩვენ მხოლოდ პირველს ვესებოთ. საგნები კი ყველგან ერთია.

წერა, 3, მართლწერა, 4, თხზულება, 5, უსაქიროესი ცნობები ენათ მეტყველებისაგან; III ანგარიში (ავრეთვე სწავლა სიერცის შესახებ — Zahllehre); IV რეალური საგნები — Realien: — 1, გეოგრაფია, 2, ბუნების მეტყველება, 3, ბუნების ისტორია, 4, ისტორია; V სიმღერა; VI ხატვა (სადაც გარეობები ნებას მისცემს). ახლა განვიხილოთ ესენი ცალცალკე.

რელიგია განიყოფება სამათ: 1, დაბადების ისტორია და ავით დაბადების კითხვა, 2, დაბადების ახსნა, 3, საზებპირო. ისტორიიდან პირველ განყოფილებაში, მეორე განყოფილების მონაწილეობით. გალიან რვა ამბავს ძველი აღთქმიდან, რაიცა ქვეყნის შექმნით იწყება და მოსეს მოწოდებით თავდება, 12 ამბავს ახალი აღთქმიდან, რაც ქრისტეს დაბადებით იწყება და აპოლოებით თავდება. მეორე განყოფილებაში, პირველი განყოფილების მონაწილეობით, ასწავლიან: პირველ წელს 25 ამბავს ძველი აღთქმიდან (ამაში 5 უკვე ნასწავლია); მეორე წელს 30 ამბავს ახალი აღთქმიდან (ათი უკვე ნასწავლია), ყველა ეს ამბავი გაცილებით ვრცლათ და დაწერილებით, ვინემ პირველ — განყოფილებაში. მესამე და მეოთხე განყოფილებაში ერთათ გალიან 24 ამბავს ძველი აღთქმიდან (სულ ახლებია, დაწყებული ბაბილონის გოდოლით და გათავებული იობით) და 35 ახალი აღთქმიდან (ეს იწყება ქრისტეს დაბადებით და თავდება პავლეს მოგზაურობით) ორი წლის განმავლობაში, რაც შეიძლება ვრცლათ. ამასთან შეეკავშირებულია დაბადების კითხვა და ახსნა. საზებპირო შეიცავს: ლოცვებს, საეკლესიო საგალობელს და სხვა-და-სხვა დაბადების გალექსილ ამბებს. ამას გარდა კატეხიზმო, რასაც ღველი ასწავლის (სადაც ღველი არ არის მასწავლებელი). სახელმძღვანელოები: პირველ ორ განყოფილებისათვის „სამღეთო ისტორია“, დანარჩენისათვის დაბადება; საზებპიროსთვის კიდევ ორივე ნაწილს თავისი სახელ-მძღვანელო აქვს. და მეოთხე განყოფილებას მოკლე კატეხიზმო.

ენა. სკოლაში უნდა იხმარონ ლიტერატურული ენა. მასწავლებელს ნება აქვს ადგილობრივ დიალექტს მიმართოს იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ეს თუ ის ლიტერატურული მიზნებერა არ ესმის. ლიტერატურული ენის სკოლაში გამეფება მასწავლებლის პირდაპირი მოვალეობაა. ბავში უნდა გავარჯიშდეს

მეტყველებაში, სიტყვების მართლ გამოთქმაში და წინადადების შედგენაში. ეს შეეცავს ლაპარაკის, გამოთქმის სწავლას. მაგრამ ამისათვის ცალკე გაკვეთილი არ არსებობს, ის შეერთებულია წერა-კითხვასთან და საგნების სწავლებასთან. ენის გეოგრაფიკა მდგომარეობს წერა-კითხვის შესწავლაში, წაკითხულის და გაგონილის გაგებაში, თავისი აზრის სიტყვით და წერით გამოხატვაში და სხ. ეს ყველა განუყოფლობის და ყველა გაკვეთლის საგანს შეადგენს.

პირველ და მეორე წელს მარჯვენ სხეულმძღვანელოა „ან-ბანი“ (Fabel), რომელიც 80 გვერდიანი შედგება. აქედან სწავლადენ წერა-კითხვას. მესამე წელს (ე. ი. მეორე განყოფილების მეორე წელს) იწყებენ „საკითხავ წიგნს“ (პირველი წიგნი); ეს ჩვენი „დედა-ენის“ ოდენა იქნება აი, მისი მოკლე შინაარსი: თავში რამოდენიმე ლექსი, შემდეგ პატარ-პატარა სტატიები ზნეობრივი შინაარსისა, მაგ., „კმაყოფილება“, „კეთილი შვილი“ და სხ.; ფრინველები. აქ კიდევ ლექსები, მაგ., „კმაწილი და ფრინველი“ და სხ., შემდეგ კიდევ ზნეობრივი შინაარსის წერილები, მაგ., „ძუნწი“, ლექსები, შინაური და გარეული ცხოველები და სხ. აგრეთვე მოთავსებულია გეოგრაფიული ცნობები (ძლიერ ელემენტარული, მაგ., აღმოსავლეთი, დასავლეთი, მასზე, მთვარე და სხ.), ისტორიული ამბები და აწერილობა ვიურტემბერგის დედა-ქალაქის შტუტგარტის. ეს წიგნი კუპლეტებათ არ არის დაყოფილი. „საკითხავი წიგნის“ პირველ 45 გვერდს გაღწა მეორე განყოფილებაში პირველ წელს „ან-ბანის“ წიგნთან ერთად. მესამე და მეოთხე განყოფილებას სახელმძღვანელოა „საკითხავი წიგნი“, ნაწილი მეორე, რომლის შინაარსს ქვევით მოვიყვანთ. ამ სახელმძღვანელოებით სარგებლობენ „მართლ-წერას“, „ლამაზი წერის“, და „თხზულებისათვის“. „ერთ-მეტყველება“ შეიცავს გრამატიკულ ცნობებს.

ანგარიში. პირველ განყოფილებაში სწავლობენ ციურების წერას და ანგარიშს ათამდის (ოთხი მოქმედება), მეორე განყოფილებაში - ასამდის, აგრეთვე წონა, ზომა და ფული. მესამე განყოფილებაში ასწავლიან ციურიან საანგარიშოს, ნაწილადებს (დრობი), ამის წაკითხვას, ხმარებას, შეერთებას, გაყოფას და სხ. ათათასეული ნაწილადები და მეტრიკული ნაწილების წაკითხვა და ხმარება. მეოთხე განყოფილებაში ასწავ-

ლიან ათათასეული ნაწილადების (გაგრძელება) გამოყოფას, გამოკლებას და სხ., პროცენტების ანგარიშს და სხ. ანგარიშია ზეპირი და წერით. უკანასკნელ წელს აკეთებენ განსაკუთრებით ისეთ საანგარიშობებს, რომლებიც ცხოვრებაში ხშირად ხდებოდა (მაგ., ეკრობა, მოგება-წაგება, გაცელა-გაპოცელა, ქირაგება-გაქირაგება და სხ.). აქ მთელი შრომა მასწავლებელს აწევს, მან უნდა შეადგინოს ასეთი საკითხავი საანგარიშობები და ბავშვებს გამოაყენოს.

რეალური საგნები. I—II განყოფილებას ერთად აცნობებენ, მაგ., შემდეგ საგნებს: სკოლა, სახლი, შინაური ცხოველი, საცხოვრებელი ადგილი, ბაღი, მინდორი, ტყე, წყალი, დედა-მიწა, ჰაერი, ცა, ადამიანი. ყველა ამების აწერილობა მოთავსებულია მათ სახელმძღვანელოში („ან-ბანი“ და „საკითხავი წიგნი“). მე-III—IV განყოფილება ამავე საგანს უფრო სისტემატიურად სწავლობს, გეოგრაფიიდან გადიან: ცის სიერცე და მნათობთა მდგომარეობა; დედა-მიწის გაცნობა იწყება თავის სოფლის გაცნობით: თავის სოფლის მდებარეობა, მცხოვრებნი, გზები, ისტორიული წარსული, სამზღვრები და სხ.; შემდეგ, თავისი მასზე, მიწის თვისებანი, მდინარეები, მთები, ისტორიულად შესანიშნავი ადგილები და სხ.; ვიურტემბერგის დაყოფა ოთხ ხეობათ და თვითოეულის ცალკე შესწავლა, განსაკუთრებით ადგილობრივი ხეობის, რკინის გზები, ბაზრები, სამაზრო ქალაქები და სხ.; მთელი გერმანია, მისი სიერცე, საზღვრები. დიდი მდინარენი, მთები, პოლიტიკური ნაწილები, შესანიშნავი ქალაქები; განსაკუთრებით ყურადღება მიქცეულია ვიურტემბერგის ახლო-მახლო მდებარე ადგილებზე. უსაჭიროესი ცნობები ევროპის, ამერიკის და ქვეყნის სხვა ნაწილების შესახებ. ევროპის და შეერთებული შტატებს უფრო ვრცლად გაცნობა. „არც ერთი გეოგრაფიის გაკვეთილი უქარტოთ“. სკოლაში უნდა იყოს შემდეგი ქარტები: ადგილობრივი სოფლის და მასზე, ვიურტემბერგის, გერმანიის, ევროპის, მთელი ქვეყნის და გლობუსი. სულ ბოლოს ახსნილი უნდა იქნას ქვეყნიერების შენობა. 2, ბუნების მეტყველება. შინაარსი: ჰაერი, წყალი, ორთქლი, ღრუბელი და სხ.; სითბო, ქარი, ამინდი, ხე და ნახშირი, ცეცხლი და სხ. გაკვეთილი იწყება საგნის ჩვენებით (ცდა), შემდეგ აქედან გამოყენებით ბუნების კანონი და ბოლოს გარკვევა იმ მოვლენის, რა-

მელიც ამ კანონზე არი დამყარებული. აქ საჭიროა რამდენიმე ფიზიკური აპარატი. 3, ბუნების ისტორია. ლითონები: ოქრო, რკინა და სხ.; მცენარენი; ცხოველები, მოღვმა, კლასები და სხ. ადამიანის აგებულება, ბოლოს ყველა ამის ერთმანერთთან შეკავშირება და ერთი საზოგადო წარმოდგენის შედგენა. საჭიროა ამასთანავე შესაფერი ნახატები. 4, ისტორია. ეთნოგრაფიის მოკლე ისტორია; საზოგადო ისტორიიდან: ეგვიპტელები, სოკრატი, ალექსანდრე დიდი, რომაელები, იერუსალიმის დანგრევა, ძველი გერმანელები, ქრისტიანთა ცხოვრება, ქრისტიანობის მიღება, კარლოს დიდი, ჯეაროსანთა ამხედრება, ბექდვის საქმე, კოლუმბი, ლიუტერის ცხოვრება, რეფორმაცია, 30 წლის ომი. ფრიდრიხ მეორე, ნაპლეონ პირველი. ამასთანავე ბავშვებს უნდა ჰქონდეთ გადაწყვირილი და სკოლის დაფაზე გამოსახული შემდეგი წლები. ქრისტეს წინ 753, 333; ქრისტეს მერე: 9, 70, 325, 800, 1099, 1483, 1492, 1517, 1530, 1546, 1648, 1789, 1806, 1813; მასწავლებელი უმთავრეს ყურადღებას აქცევს იმ ამბებს, რომელნიც ამ წლებში მომხდარან. ახალ პროგრამაში მითითებულია ფრანგ-გერმანელთა ომი და გერმანიის იმპერიის დაარსება.

სახელგანმარტყელი.

(შემდეგი იქნება)



ოსმალეთური ზღაპარი.

(ფრანგულიდან)



ქვენ, ფრანგებო, თავმოყვარე და რალაც ხიბრეული ხალხი ხართ! გვინათ რომ ყოველი მეცნიერება, ყოველი გამოკვლევა თქვენგან წარმოდგება, ის კი არა, თქვენ მხოლოდ ხელმძღვანელობთ ძველი გამოცდილებით, აღრინდელ მეცნიერთა გამოკვლევებით.

ამის მთქმელი გადაწოლილიყო რბილ ტახტზე და ერთი თვლით შეცქეროდა თავის ციგარის მოლურჯო კვამლს, რომელიც კლაკნით ადიოდა მალა ქერში. ეს იყო ჰამედ-ფაშა, ნამდვილი პარიველი, თუმცა დაბადებული იყო ოსმალეთში და მხო-

ლოთ ამით ორ ჩვეულებას მისდევდა - ფესკას ხმა-რობდა და ყალიონს ეწყობოდა.

ჰამედ-ფაშა კი ნასწავლი კაცი იყო, სიტყვა-პასუხი მოსწრებული ჰქონდა, მიხერა-მოხერა ნამდვილ პარიველს მიუგავდა, იმათებურათვე ურწმუნო იყო. ამასთანავე თუმცა ათი წელიწადი დაჰყო საფრანგეთში, მაინც აღმოსავლეთის ცრუმორწმუნეობა და ახირებული, უცნაური ამბები ჯეროდა.

— ეს არი ახლა რომ ელაპარაკობდით გიპნოტიზმზე, კაცის ჩაგონებაზე, განაგრძო ჰამედ-ფაშამ, და თქვენ რომ ჩამომითვალეთ, რა დიდი ნაბიჯით მიდის წინ, პარივეში, მეცნიერება, რომელიც ყოველ გვარ საიდუმლოებას იკვლევს, ამის პასუხათ თუ ინებებთ გიამბობთ ერთ ამბავს, დიდი ხნისას, რომლითაც დაგმობიკებთ, რომ ასი წლის წინეთ ოსმალეთში არა თუ იცოდენ, გიპნოტიზმი რა არის, კიდევ სარგებლობდენ თავიანთებურათ.

მე ეთხოვე მოეთხრო და ჰამედ-ფაშამ დაიწყო:

— „თავის დღეში არ გავგონათ ის ცნობა, რომელიც ყარსის ფაშამ ამ ასი წლის წინეთ გამოუგზავნა სულთან სელიმს. ის არ იყო დაწერილი არც ტყავზე, არც ძვალზე. ის არ იყო დაბეჭდილი არც ლაქით, არც სხვა რამით, მაგრამ პადიშახმა მიიღო თუ არა გულშემოყრილი დაეცა ხავერდის ხალიჩაზე.

„მოსული ამბავი შედგებოდა რეა მარცვლიდან, რომელიც ერთათ შეადგენდა ორ სიტყვას დიდ მნიშვნელოვანს ისე, რომ სულთანმა წაიკითხა თუ არა, ჩაეარა საშინელ საგონებელში.

ეს ორი სიტყვა ყარსის ფაშისაგან დილით იყო ნათქვამი მზის ამოსვლის დროს და იმავე საღამოს, როდესაც ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივი ანათებდა ციციანათელასავით სტამბოლის ერთ ევება მეჩეთის წვერს და მის ოქროს მგზავს გუმბათს, სახელოვანი სელიმი შიშით იმეორებდა თავის სასახლეში ამ ორ სიტყვას.

„როგორ მოხდა, რომ ეს რეა მარცვალი ერთი დღის განმავლობაში გადაიკა იმ დიდ მანძილზე, როგორიც არის ყარსიდან სტამბოლამდის! როგორ მოხდა რომ საუკეთესო მხედარნი, შეენიერთ გახედნილ ცხენებით, რეა დღეზე აღრე ვერ გადავიდოდენ ამ მანძილს და ეს ამბავი კი, რამდენიმე საათის განმავლობაში, მივიდა მის უდიდებულესობამდის.

„კარგა ხნის წინეთ, სანამ ტელეგრაფს მოიგონებდენ, ჩვენმა მეცნიერ მამა-პაპებმა გამოიგონეს ჩქარა და მარჯვეთ ხმის მიწოდება ერთმანეთთან. აი, როგორ: დილით ფაშას ბრძანებით დარაჯი, ეთქვათ ყარსის სიმაგრეიდან, თავის გძელ ფარაჯას ჰაერში გაიქნევე-გამოიქნევედა და ქარის შემწეობით ხმას მიაწვდინდა მეორე მწვერვალზე მდგომ დარაჯს. მერე ესეც თავის ფარაჯას გაატაკ-გამოატაკუნებდა, გადაცემდა ხმას მესამე მწვერვალზე და ასე ერთა მწვერვალეიდან მეორე მწვერვალამდის, ერთი მთიდან მეორემდის, გადადიოდა ხმა ქარის შემწეობით, სანამ არ მიახწევდა დანიშნულებისამებრ, სადაც ჩაწერდენ კიდეც.“

„ასევე აცნობეს ყარსიდან ზემოხსენებული ამბავი. დარაჯებმა შავი ფარაჯის შემწეობით გადაცეს ჯერ ერთი ხმა სულთანის მდივანს, რომელმაც მაშინვე აღნიშნა ლერწმის წმინდა კალპით ტყავზე ასო ბ.“

„მერე ყარსის სიმაგრის დარაჯმა გადააბრუნა ეს წითელ სარჩულიანი ფარაჯა, გაიქნა ჰაერში და ერთი მწვერვალეიდან მეორე მწვერვალამდის გადაცა ახლა სხვა ხმა, რომელიც სულთანის მდივანმა აღნიშნა ასოთი ა.“

„მთელი დღის განმავლობაში, ბინდამდის, ჰაერში გაჰქონდა ტკაც-ტყუცი ხან წითელ და ხან შავ ფარაჯას და გადმოცემულ ხმებს ნიშნავდენ. საღამო ემას, ოსმალების ლოცვა რომ დაიწყო, სულთანის მდივანმა აღნიშნა ტყავზე უკანასკნელი ხმა ყარსიდან გამოგზავნილი.“

—ზარუთ იოხ. — წამალი გამოგველია.

„ეეს ამბავი ძალიან საყურადღებო იყო. თუ ყარსის ფაშას აღარა ჰქონდა ტყვია-წამალი, როგორღა დაიკავდა რუსებისაგან ციხეს. უნდა გამოსაღმებოდენ ყარსს, ამ კავკასიაში შესასვლელ კლიტეს.“

„საბარალო მდივან ნელი ნაბიჯით წავიდა სულთანთან ამბის გადასაცემათ — და თან რას არ ფიქრობდა! ეინ იცის, რა შედეგი მოელოდა ამის მიტანილ ამბავს? შევიდა თუ არა სულთანთან, დაეცა მუხლებზე, მძიმეთ თავი დაუკრა და მიაწოდა დაწერილი ტყავი.“

„ტყუილათ კი არ ეწინოდა ამ უბედურს. დახედა თუ არა სულთანმა დაწერილს, საშინლათ აღშფოთდა, სიბრაზით აღარ იცოდა, რა ექნა. მერე გაცა ბძანება ორმოცი ჯოჯი დაერთყათ ამ ცუდი ამბის მამტანისთვის.“

„მდივანი თავის თავს ნუგეშს აძლევდა, რომ ყარსის ფაშას ესე სიტყვიერათ რომ არ ეცნობებინა, ესეც ასე არ დაისჯებოდა; თუმცა ქალაქს დიდი ამბით მოწერდენ: „სამყაროს მეუფევე, ხელმწიფეების ხელმწიფევე, შენი მონა და ყმა სიყრმიდან სიკვდილამ-

დის თაყვანს სცემს ზეცაჲდის მიხწეულს შენ ტახტს...“ კიდე ბევრ ამისთანებს დაწერდენ და ბოლოს ორი სიტყვით საქმესაც აცნობებდენ.

მდივნის გაწკებლამ სულთანს ცოტა არ იყოს დაუმშვიდა გული. მაშინვე დაიბარა ევზირი.

„ამ უფროს ევზირს იბრაგუმი ერქვა. მოხუცებული და ცუდი სახის კაცი იყო, მაგრამ დიდი ჭკუა ჰქონდა, მისი მეტათ შესანიშნავი დიდრონი შავი თვალები სხვა ნაირათ ბრწყინავდენ და უცნაურათ, დაატკერდებოდენ ხოლმე კაცს.“

„იბრაგუმი კვლავინდელზე უფრო მძიმე თავის დაკერით შევიდა სულთანთან, ჩვეულებისამებრ ფოსტლებიც თავზე დაირტყა და ყველა წესი, რაც კი შემოდებული იყო სასახლეში, ასრულა, მაგრამ რისხვის აცილება თავიდან ძალიან ძნელი იყო.“

— აი, შე საძაგელო, ზუსურმანო! შეგყვირა გაანჩხლებულმა მის უდიდებულესობამ. აგრე ზრუნავ ჩემი ჯარის გამარჯვებაზე! რა გასაკვირველია, რომ მოსკოველები წამ-და-უწუმ თავს ესხმიან ჩემ ყოჩად ჯარს, როდესაც ლენერლები და ციხის უფროსები, როგორც ახლა ყარსის ფაშა, უტყვია-წამლოთ სხედან! რითი უნდა იბრძოლოს? ერთი მითხარ ყარსის ციხის უფროსი რათ არი უტყვია-წამლოთ?

— იმიტომ თუ მოხდა, რომ გამოეღეოდა წაიბუტბუტა დიდმა ევზირმა თავ-ჩაქინდრულმა.

— შენ ნამდვილი სულელი ყოფილხარ, იბრაგუმი, და არ ვიცი აქამდის ციხეში რატომ არ ჩამიგდინხარ. თუ ყარსის ფაშას არა აქვს ტყვია-წამალი, ეს იმიტომ რომ ფული შემოჰკლებია. ხვალ რიქრაქზე უნდა საჩქაროთ ქარავანი გაგზავნო, რომელიც ყარსის ფაშას მიუტანს ათას ქისას ოქროთი.

— ათასი ქისა კი მაქვს, თქვენო უდიდებულესობავ, მაგრამ ფული სად ვიშოვო მისი გასაცემი.

— ეგ ჩემი საქმე არ არი, მაშ რის დიდი ევზირი ხარ, თუ მავასაც მე მეკითხები—უთხრა სელიმმა.— მოთხოვე ჩემ ხაზინადარს ბერძენს, თუ არ გინდა, რომ თხოვო იმ სპარსელ ხაზინადარს, რომელმაც ამას წინათ მასესხა ათასი ოქრო.

— იყოს ნება თქვენი, დიდებულო ხელმწიფევე, უპასუხა იბრაგუმი. დაბლა თავის დაკერით—ხვალ ათას ქისას, ოქროთი სავსეს გაგზავნი ყარსში...“

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# განცხადება

ქ ჟ თ ა ი ს შ ი

დაარსებული თეატრალური კომისია იწვევს, როგორც არტისტებს, ისე ჯერეთ სცენაზე არ გამო-

სულ პირთ, რომელთაც სურვილი აქვთ მიიღონ მონაწილეობა ქუთაისის მუდმივ ქართულ დასში.

განცხადება შეუძლიათ შემოიტანონ გასტან-ტინე დიმიტრის ქუ პაჭკაძის სახელზე, ქ. ქუთაისში. (3 - 3).

# კანცლერი და გლუხოვსკი

თბილისში

სასახლის (Дворцовая) ქუჩაზე. ახალი სახლი საჩა-ვევისა, ეზოში.

ახლათ გასსსნილი

## ფაბრიკის საქურობი

გაუმჯობესებული:

### საპირავი მანქანები

ნამდვილი

ზინგერ - ნათემანისა

და სხვა ცნობილი და საუკეთესო სისტემისა აგრეთვე პირველი ხარისხის ველსიპედი



მუდამ მოაზრება დიდი ასარჩევი (большой выбор) საკრავი მაშინების, ყოველივე საოჯახო სსსმარებლათ და აგრეთვე სპეციალურათ.

თითოეული საპირავებისთვის,

სამკერვალო სთვლის,

წაღებისთვის

ცხენის იარაღის საკერავისათვის, მექედისა და სხვადა-სხვა საშუაოსი.

ფასი ფაბრიკისა

ხე ქალაქებიდან თხოვნა დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებული იქნება. (25 - 1)

ამარკო საამათმომოვრო ამგულაბორიითურთ მკიხ, ს. ვ. თოფურისნი, მ. ქუთაისში.

საავთმყოფოში დგას ოცდა თორმეტი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიური შინაგან სენით და თვალეზით ავთმყოფათვის. მუწუკებანი და გაღამდები სენით ავთმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავთ-მყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუა-ღლის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავთმყოფებს მიიღებს: ექ. ს. გ. თოფურისა.

ხირურგიულ შარდით და ათამანგით ექ. პ. გ. პრუჟკალსკი.

დღედაცაყურ ავთმყოფთ და საბებოას — ქალი — ექიმი. მ. ფ. გაგანი.

თვალეზით ავთმყოფებს — ექიმი ი. გ. კარ-შავსკია.

ჩრევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამის ქირა საავთმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2 — 3 მანეთამდე. აპერაციის ფასი ვარიგებაზეა.

საავთმყოფოას დირექტორი ს. გ. თოფურისა. (10 - 4)

### ქართული თეატრი

ათშაბათს, 30 ოკტემბერს 1896 წ.

ქართული დრამატული საზოგადოების დასისკან გა-ზუნა-ცაგარლისა, ავლიშვილისა, აბაშიძისა და ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება.

I

## ორ ცეცხლ-შუა

დრ. ვ. მოქ. ჭირარდენისა.

II

## მე მიხდა კნინა გავხდა

კომ. 2 მოქ. ანტონოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: გაზუნა-ცაგარლისა, ავლი-შვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, ივანიძისა; აბაშიძე, ყიფიანი, მარჯანიშვილი, გამყრელიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, თამაზიშვილი, გვარამაძე და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

ჩრეისორი, გ. ალექსეევ-მესისიშვილი.

ადმინისტრატორი ვ. შათირიშვილი.

სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი

## ი. მცხელინა

(ქუთაისში)

გამართულია ვარფოლომეევის სახლში დადიანის ქუჩაზე.

სასწავლებელი ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის მოსამზადებელსა და პირველ კლასებისათვის, საყმაწვილო ბაღი მიზნით იღებს აღზარდოს ყმაწვილები 5 — 7 წლ. სამშობლო ენაზე, ფრებელის სისტემით.

სასწავლებელში ყმაწვილები მიიღებიან პირველ სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე, ხოლო საყმაწვილო ბაღში ყოველ დროს მთელი წლის განმავლობაში. თვიური გადასახადი დანიშნულია სასწავლებელში 10 მან. და საყმაწვილო ბაღში 5 მან.

(4 - 4)